

რაჭავ, ჩემო თვალის ჩინო

# რაჭველები

№ 1 (75) 1.01.2016 - 1.02.2016 შპს: 2 ლარი

მომხმარებლის გაყოფა

## გილოცავთ შობა-ახალ წელს

# 2016



### კობა დავუვილი



ჩაქომ  
დაჩქევს  
ქაჩხურ კინოს  
„ჩაჭყვირძი“

16

### ქვისცე დაზადებულა



აღიღუ

ზოდირ  
სომასურიძე  
ონის კოლორიტავს  
უკვდავავას სრუქინს

22



გორია  
გნუქიძე  
ეთის კანონის უსსახე

20



ჯიგი  
სნიტლაქის  
უკანასქველი გზა

### ეზინა ამბროლიანი



8

ოჯანის  
სანსალწლო სარქუქარი



„ენით დაკოდირის“  
ამბავი „რაჭველებში“.

# სახალწლო

მრავალ-მრავალ ახალ წელს  
 ნადვის ხესე ხიტი ჯდება,  
 თქოს ნისკარტს მადლა სწევს,  
 საქართველოს სადიდებლად  
 მრავალ, მრავალ ახალ წელს!  
 ხეში გული სისარულით,  
 რა თქმა უნდა, ახლაც ძველს,  
 მშვიდობა და სიყვარული,  
 მრავალ, მრავალ ახალ წელს!



## სახალწლო

- ახალი წლის საღამოა,  
 ქარი ქრის და ფიფქი ცვივა,  
 თოვლის საბანს რომ იხურავ,  
 ნადვის ხეო, არა გცივა?  
 - არა მცივა, ზატარებო,  
 მე დიმილი თქვენი მათობს  
 და გიხურვებო, რომ თქვენს გულშიც  
 არასდროს არ დაიწამთროს.  
 წამთარია, მაგრამ გული  
 არ გითბებთ ეველას განა?  
 შედავთ? თოვლის ბაბუამაც  
 სახუქრები მოგიტანათ.  
 უღრან ტყიდან მოვიჩქარი,  
 ისე ძლიერ შემოიყვარდი,  
 მე მოვედი, რომ ახალი  
 მოგილოცათ წელიწადი.



## მეძღვება

ზოგჯერ ქალმა უწოდა  
 რაჭის „ეპიკოსი ვანსკელაძე“,  
 ეს უნდა დაიმსახურო  
 რომ იყო მწითის საღარი.

-სამკაული დახვეწილი,  
 ვაწრო კანა-მოკასხული,  
 ეს ტუბილად მოუხარი  
 და რაჭულად ემსიანი.

მვირფავსი მატეანეა,  
 მისი წიგნები, ჟურნალი,

## ქალბატონი მარგალიტებით

რაჭის ქრონიკის გვიამბობს,  
 = ვის როგორი აქვს უნარი.

ადგნითოვანებს ვერ ემაღავე,  
 =კეთილი საღისის შექვენი,  
 თქვენ გააცოცხლეთ „საღამარი“  
 და რაჭის ბეგნი შეღვერი.

მალზე ტუბილია ოცნება,  
 ბეგნი რამეს იტყვს ვინება,  
 რაჭა რომ უყვართ რაჭველებს,  
 სხვა კეთსე არ მაგონდება.

## ნინო რუსეთაძე

მე არ მინდა რაჭა იყოს  
 მხოლოდ ნატურა, მოგონება,  
 მინდა ჩქვედეს სიცოცხლე  
 და სისულსავე ცხოვრება.

სიკორქმინდის, ბარაკონის,  
 ლოცვითა და რუდუნებით,  
 ვიამაყით მიმავლით  
 და წარმტაცი ბუნებით.

მზია მანსურაძე



# სარჩევი



	ქრისტეს შობა ..... 2
	ქრისტე დაბადებულაო ..... 3
	19 იანვარს ქრისტიანული სამყარო
	ნათლისღებას აღნიშნავს..... 6
	27 იანვარი წმინდა ნინოს
	ხსენების დღეა ..... 7
	ოჯახის საახალწლო საჩუქარი.
	ბედის ვარსკვლავი..... 8
	<b>ზოდუკო ხომასურიძე</b>
	ჭიფხო ..... 10
	შემოვდგი ფეხი... ..... 13
	<b>გივი სიხარულიძე —</b>
	სიკვდილის ნაძვის ხე ..... 14
	რატომ ეძახდნენ ქართულ კინოს
	„რაჭვილმს“ და როგორი კული-
	ნარი იყო კოტე დაუშვილი..... 17
	ჯიმი სხირტლაძის
	უკანასკნელი გზა.....20
	გოჩა ენუქიძე მაღალმთიანი
	რეგიონების განვითარების
	კანონის შესახებ ..... 22

	კოლორიტები ჭიორიდან ..... 24
	თამარ მასნაველების კლასი
	უმზეობამ დანისლა..... 26
	სავანე, რომელიც ჩვენს
	ყურადღებას საჭიროებს! ..... 28
	მეკვლეს ფენომენი..... 29
	ეს იყო ნინათ..... 30
	<b>ლევან ფრუიძე —</b>
	სოფლები - კატასტროფა,
	რომელიც გარდაუვალია ..... 32
	<b>გოგი ჩაგელიშვილი —</b>
	ჩაი, ჩაი დამალევინეთ,
	თუ ღმერთი გნამთ!..... 35
	<b>შოთა ნოზაძე</b>
	ამერიკიდან ნაფიქრი ..... 36
	<b>ვანო ციცინცაძე</b>
	საგასტროლო მოგზაურობა ..... 38
	<b>ნინო რეხვიაშვილი</b>
	ვისთვის ნიგნი, ვისთვის
	ჟურნალი თუ რაღაც?! ..... 40

მთავარი რედაქტორი —  
**ნინო ჩახვიაშვილი**  
 ტელ: 599 74 68 10  
 დამფუძნებელი —  
**გოჩა გუტაშვილი**  
 ტელ: 599 53 58 94  
 კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**დალი ჯვარციანიშვილი**  
 ტექსტი ააწყო  
**თამარ გოგიანიძე**  
 მისამართი: თბილისი, ლესელიძის  
 ქ. №27, მე-2ს., 790 74 68 10  
 ელ-ფოსტა: nino153@mail.ru

ჟურნალი “რაჭველები” ემიგრანტ  
 რაჭველებს და არა მარტო მათ,  
 გთავაზობთ თანამშრომლობის პროექტს \_  
 გამოგვიგზავნეთ მასალები, ფოტოსურათები,  
 რითაც შეძლებთ მოეფეროთ თქვენს  
 მონატრებულ ქვეყანას, ოჯახებს და ამავე  
 დროს მხარში დაუდგეთ ჟურნალს.  
 ტელ: 599 74-68-10

ძვირფასო მკითხველო!  
 გაცნობებთ, რომ რედაქციაში შემოსული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. რაც შეეხება  
 სარეკლამო ტექსტს, მთელი პასუხისმგებლობა რეკლამის შემკვეთს ეკისრება.

ჟურნალში მასალების განთავსება ფასიანია!



ქრისტეშობა

# ქრისტეს უობა

როდესაც ადამიანთა მოდგმის პირველი მშობლები ღვთის აღთქმის დარღვევის გამო სამოთხიდან განიდევნენ, უფალმა თავისი გამოუთქმელი გულმონყალებით დაცემულ კაცობრიობას გამოხსნის აღთქმა დაუდო. ამ აღთქმაში ყოვლადწმინდა ქალწულის შესახებ წინასწარმეტყველებაც იყო: „თესლი დედაკაცისა დათრგუნავს თავსა გველისასა“. ჩვენი მხსნელის ყოვლადწმინდა დედის შესახებ ეს პირველი სასიხარულო უწყება ბევრჯერ განმეორდა, რათა ადამიანები მესიის მომავალი მოსვლისათვის მოემზადებინა.

ბეთლემში იყო დავითის მთელი მოდგმა და ამიტომ ის დავით მეფის საგვარეულო ქალაქად სამართლიანად იწოდებოდა.

ბოლოს მათ მიაღწიეს ბეთლემს, მაგრამ აქ მოსასვენებელი ვერსად იპოვეს. პატარა ქალაქი მომსვლელებით იყო სავსე. წმინდა მწირები ამაოდ ეძებდნენ თავშესაფარს. არავინ მიიღო ისინი, „რამეთუ არა იყო მათა ადგილი სავანესა“. მთელ ქალაქში თავისუფალი კუთხეც კი არსად მოიძებნა. ისინი ადამიანთა საცხოვრებელს უდრტივინველად გამორდნენ და სადგომს ქალაქის შემოგარენში, ჭიშკართან ახლოს ეძებდნენ. ბეთლემის



ჩრდილოეთით, დავითის წყაროდან ორასიოდე ნაბიჯზე, კლდეებს შორის არის გამოქვაბული, რომელშიც ქარიშხლის და უამინდობის დროს მწყემსები პირუტყვთან ერთად თავს აფარებდნენ. გამოქვაბულის სიღრმეში ქვის კლდეში ამოკვეთილი ჩაღრმავება ცხოველებს ბაგის მაგივრობას უწევდა. ამ ლატაკურ გამოქვაბულში მოთავსდნენ წმინდა მგზავრები და სრულ სიწყნარესა და სიმშვიდეში იმყოფებოდნენ, ბრბოს მღელვარებას და ქაოსს მოშორებულნი - მარტონი, უხილავ შემოქმედთან ერთად.

საოცარია ღვთაებრივი განგებულების საქმე! თავისი ამქვეყნიური დიდებით გაამაყებული კეისარი უფლის ნების ბრმა იარაღად გვევლინება, ღვთის განზრახვას ემსახურება. ქვეყნიური მეფის ნებამ მოუხმო იოსებსა და მარიამს ბეთლემისაკენ, რათა ზეციური მეუფის ნება აღსრულებულიყო. იოსები და მარიამი აუცილებლად უნდა წასულიყვნენ ბეთლემში - დავით მეფის სამშობლოში, სადაც სამეფო შტოს საგვარეული ნუსხები ინახებოდა და სახელი იესოსი, რომლის წინაშეც ყოველთა ზეციურ ძალთა მუხლი იდრიკება, წარმართი ხელისუფალის ქვეშევრდომთა შორის ჩაწერილიყო. დიდება უფალო, სიმდაბლესა შენსა, დაე, განქარდეს ყოველი ამპარტავნება გულთაგან ჩვენთა!

საიდუმლოების ფარდა ჩამოეფარა ძე ღვთისას აკვანს და ამგვარად აღესრულა ისაიას წინასწარმეტყველება: „აი, ვინ დაივანებს მალალში, კლდეთა სიმაგრეები იქნება მისი საფარი“.

ამ მყარ კლდეებში შუაღამისას ქალწულმა მარიამმა წინასაუკუნეთაგან მამისაგან შობილი უხრწნელი შვა და „მიანვინა იგი ბაგასა“. სასწაულებრივი, ადამიანური ბუნებისათვის მიუწვდომელი იყო მისი მუცლადღება, ასევე სასწაულებრივად, ასევე ზებუნებრივად მოხდა მისი მოვლინება ყმანვილი დედის წინაშე. ასე სხივმფენი მნათობი გაარღვევს მეყდეყლად ღრუბელს, რათა თავისი სინათლითა და სითბოთი ქვეყნიერებას სიცოცხლე მოჰფინოს.

წლის მკაცრ სეზონზე და სრულიად უსახსროდ, არასასურველ ვითარებაში უნდა დასდგომოდნენ იოსები და მარიამი ძნელ გზას. ამ გზის გასავლელად საუკეთესო შემთხვევაში სამ დღე-ღამეზე მეტი იყო საჭირო. ბეთლემი, პატარა ქალაქი, რომელსაც ადრე ეფერათა ეწოდებოდა, იერუსალიმის ჩრდილოეთით მდებარეობდა, ქებრონის გზაზე და ნაზარეთიდან სამი დღის სავალი აშორებდა. დავითი ბეთლემში დაიბადა და მისი მეფედ ცხებაც აქ აღსრულდა.

მხსნელის შობას ტკივილები არ სდევდა თან, ქალწულმა იმგვარად შვა, რომ მთელი თავისი მხიარულება და ძალა შეინარჩუნა. როდესაც ყოვლადწმინდამ ძე თვისი და ღმერთი ჩვენი შვა, დაუყოვნებლად მის სამსახურს შეუდგა. სხვათა დახმარება არ სჭირდებოდა, არც ტკივილსა და არც იმ უძლურებას არ გრძნობდა, რომელსაც ჩვეულებრივ განიცდიან ქალები. დედა ღვთისამ ყოვლადწმინდა ხელებით თვითონვე შეახვია იგი, ბაგაში მიანვინა და პირველმა სცა თაყვანი. თავის ძუძუს აწოვებდა მას, მის მკლავებში განვლო უფლის სიყრმემ,





# ქრისტეშობა



დედასთან განუშორებლად გაატარა მან თავისი სიყმაწვილე 30 წლის ასაკამდე, სანამ ადამიანთა მოდგმას განუცხადებდა, რომ საკაცობრიო ცოდვებს საკუთარ თავზე იღებდა, რათა ჯვარზე სიკვდილით ქვეყნიერებისათვის ხსნა მოეწიჭებინა.

თრთოლვითა და მოკრძალებული მდუმარებით სცა თავყვანი იოსებმა ყოვლადწმიდა დედასა და მის ძეს - ჩვენს ღმერთს. განცვიფრების სიხარულით შეპყრობილმა ზებუნებრივი სასწაული განჭვრიტა და დაუყოვნებლივ შეიგრძნო, რომ მისი ძე ჭეშმარიტად სულიწმინდისაგან არის, მიხვდა, რომ იმდრომდე, სანამ არ შვა ძე თვისი პირმშო, პირმშო ახალი ცხოვრებისა, პირმშო ახალი აღთქმისა, ღვთისმშობელს არ იცნობდა იოსები, არ იცოდა, ვინ იყო იგი და რისი ღირსი გახდა თვითონ, არ იცნობდა მას - დედას ღვთისას, იმიტომ, რომ იოსებისთვის დაფარული იყო, თუ რაგვარი ღვთაებრივი საიდუმლო იმალებოდა მასში. მხოლოდ აქ, ძის ბუნებითი შობის დროს მან მთლიანად გაიაზრა, რომ ამაზედ იყო ნათქვამი: „ქალწულმან მუცლად ილოს“.

კაცობრიობის მეუფის დამხსნელის შობით ღმერთმა ქვეყანას დიდი და ახალი სასწაული მოუვლინა: - სასახლის მაგიერ - უდაბნოს ქვაბული, ლოგინის ნაცვლად - ჩალის ნაგლეჯი, უფალმა, რომელიც ცაში ჩიტსაც კი არ ტოვებს მზრუნველობის გარეშე, თავისი ბრძნული ყოვლისშემძლეობით მხოლოდშობილი ძისთვის მიწიერი სავანე არ განამზადა. ძე ღვთისამ, რომელიც ზეცის მფლობელია, ბაგაში განისვენა; სამყაროს უფლისა და მეუფისათვის, როდესაც მან კაცთა სახსნელად ხორცი შეისხა, - ცოდვითა და უკანონობით დაფარულ მიწაზე ადგილი არ აღმოჩნდა. თვითონვე მოწმობს ამას, როდესაც ამბობს: „მელთა ხურელი უჩნს და ფრინველთა ცისა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიდრიკოს“. უცნობ ქალს ჩაესახა ქრისტე, ხოლო დიდებულ იერუსალიმში ჯვარზედ აცვეს, მცირე ბეთლემში იშვა იგი, ხოლო დიდ იერუსალიმში სიკვდილად მიეცა. საკვირველ არიან საქმენი შენნი, უფალო!

ძე ღვთისასა შობის წუთებში გაიხსნა ცა, ღვთის დიდებამ განანათლა მიწა, რომელიც ღრმა წყვედიადით იყო დაფარული, ანგელოსთა დასნი გარდამოვიდნენ მაღლიდან და სიხარულით გალობდნენ, რომ ქვეყანაზე დაემკვიდრა მშვიდობა და ადამიანებს ღვთის წყალობა დაუბრუნდათ.

რას შვრებოდა ამ დროს მიწა, - ღვთის დიდებით გაბრწყინებული? ყოველივე ღრმა ძილში იყო ჩაძირული: იუდეველები აღთქმული მესიის მოლოდინში, - რომლისგანაც ქვეყნიურ დიდებას ელოდნენ, - სჯულს იცავდნენ, ხოლო წარმართები თავიანთი კერპების წინაშე იღრჩობოდნენ ცოდვაში.

ბეთლემშიც ასე ეძინათ, მაგრამ არა ყველას. ბეთლემის ველზე, რომელიც მთებით იყო გარშემორტყმული და ქვაბულიდან ნახევარი საათის

სავალზე მდებარეობდა, იდგა სვეტი, რომელიც ედერის სახელით იყო ცნობილი და რომლის სიახლოვესაც დიდი დავით მეფე მამის ფარას მწყემსავდა. ღამით, ამ დროს მწყემსები ცხვარს ედგნენ დარაჯად. მოულოდნელმა სხივმა გაანათა ისინი, უფლის ანგელოსი წინ წარმოუდგათ და უთხრა: „ნუ გეშინინ, რამეთუ აჰა, ესერა გახარებ თქვენ სიხარულსა დიდსა, რომელი იყოს ყოვლისა ერისა, რამეთუ იშვა დღეს თქვენდა მაცხოვარი, რომელ არს ქრისტე უფალი ქალაქსა დავითისასა, და ესე იყოს თქვენდა სასწაულად: ჰპოვოთ ყრმა იგი შეხვეული და მწოლარე ბაგასა“.

არც ბრძენთ, არც დიდებულთ, არც ამა ქვეყნის ძლიერთ და მდიდართ არ გამოუცხადა უფალმა თავისი საიდუმლო, არამედ - ყველაზე ღატაკ, ყველაზე უკანასკნელ მაშვრალეებს ამქვეყნად. დაფარა - ყოვლადბრძენთა და გონიერთა წინაშე - და განუცხდა ყრმებს: ჰოი, უპოვარების ნეტარებავ, მორჩილებისა და უსიტყვო თვინიერების მომნიჭებლო, სიამაყისა და ამპარტავნების დამთრგულველო! თვით უფალი მისი ღატაკებთან და სიყვარულისა და გულმონყალების წყაროს გარდმოუვლენს მათ. ანგელოსები წავიდნენ ცისკენ, დამთავრდა დიადი ხილვა, მწყემსები გონს მოეგნენ და ყველამ, როგორც ერთმა, გადანყვიტა, წასულიყო ბეთლემში და ენახა, რაც იქ მოხდა. მათ კარგად იცოდნენ ის ადგილები ბეთლემისკენ მიმავალ გზაზე, სადაც საქონლის ბაგები იყო და სადაც ღარიბი მგზავრები თავშესაფარს პოულობდნენ. წავიდნენ და ჰპოვეს ყოვლადწმინდა ქალწული და ბაგაში მწოლარე ყრმა და თავყვანი სცეს მას.

ანგელოსთა სხივბრწყინვალე გამოცხადებისა და ხარების შემდეგ ღვთაებრივი ყრმა უბრალოებით და სიღატაკით გარშემორტყმული კიდეც უფრო ზეციური და ნათელი ეჩვენათ. თავყვანისსაცემად მისულებმა ყველაფერი მიიტანეს, რაც კი ებადათ: წმინდა სიყვარული, მყარი რწმენა და მხსნელის და მეუფის მხურვალე დიდება. და რადგან სურდათ, საკუთარი ღვთისმოსაური გრძნობა გამოეხატათ, მის ყოვლადწმინდა დედას უამბეს ყველაფერი, რაც ნახეს და ანგელოსთაგან ესმათ. ქალწული მარიამი თვალს ადევნებდა ყველაფერს, რაც მისგან შობილ ღმერთსაც შეეხებოდა და როდესაც მწყემსების ნაამბობს ისმენდა, მეხსიერებაში იბეჭდავდა და ხარობდა, რომ მოვლენები ღმერთის აღთქმას ადასტურებდა. წმინდა იოსებ დამწინდველი გაოცებული, კრძალვით იდგა ჭეშმარიტი ნათლის წინაშე, ბედნიერმა მწყემსებმა კიდეც ერთხელ სცეს თავყვანი ყრმა ღმერთს და მის ყოვლადწმინდა დედას და თავიანთი მორჩილების აღსასრულებლად წავიდნენ, აქებდნენ და ადიდებდნენ ღმერთს და მთელ მხარეში ავრცელებდნენ სასიხარულო ამბავს - იმ წმინდა ღამეს მომხდარი სასწაულის შესახებ.





ალილო

# ქრისტე დაბადებულათ



ამ საშობაო ალილოს მღეროდნენ შობის მომლოცველნი ზემო რაჭაში. ტექსტი რამდენჯერმე გადაკეთდა ხალხის მიერ. ეს ერთ-ერთი ვერსიაა.

შობა ღმერთმა გაგითენოთ  
შობის ახალ წელიწადი,  
ჩვენ ხომ მთოვლები არა ვართ  
ქრისტეს მახარობლები ვართ.  
ჩიტე შემოჯდა ოლესა  
იძანდა მარიობასა,  
ღმერთმა უველა დაგასწროს ე  
აღდგომა-მარიობასა.  
ე მკელი მიტომ მოკვალი  
თხა შემიჭამა ნისლაო

ნათლი დედა, გამისტუმრე  
სხვაგანაც მინდა მისვლაო.  
არიელი, მარიელი,  
ნუ გამიშვებ ცარიელი,  
ამოვანვიე გვრიჭები,  
დაგესრდებიან ბიჭები,  
ამოვანვიე გროშები  
დაგესრდებიან ბოშები,  
ვინცა გუაუდეს ჯარში  
მოგივიდა სახლში  
ვინცა გუაუდეს დაკარგული  
მოგივიდეს დაბარგული.  
ალილო!

**ტექსტი მოგვანოდა  
პოეტმა ვეფხია გავაშალმა**



„ოცდახუთსა და რამდენსა  
შობა გათენებულაო,  
შობის მადლი შეგეწიოთ,  
ქრისტე დაბადებულაო,  
ეს სახლი ვინ ააშენა,  
ვინ დახურა მუნის გული?  
ამშენებლის დედა ცხონდეს,  
დამხურავის მამის სული.  
„კოშკიდან“ გადავიხედე,

ერბო გიდგათ ქილებითა,  
აღათასა, ბაღათასა,  
კვერცი უნდა კაღათასა,  
აქა ღორი დაკლულიო,  
ნაუელარი ჩვენიაო,  
ნასამედი თქვენიაო.  
პატარძალო ჩვენო ღვინო,  
მარნის კარი გიჭრიალებს,  
მარნის ქოცო აგვიხადე,  
ეელი ჩავკვირებო“.





# ღვთისმშობელი გვმფარავდობდეს, ამინ!



\*\*\*

შობის ღამე დგებაო,  
სასწაული ხდებაო,  
წმინდა სანთელს ავანთებ  
ფანჯრის სარკმელზედაო,  
შობის ღამეს მოვიხმობთ  
დედა ღვთისმშობელსაო,  
სახლი მისი სტუმრობით  
მადლით აგვევსებაო  
შობის ღამე დგებაო,  
ქრისტე იბადებაო  
ეველა საწაული ხომ  
შობის ღამეს ხდებაო!



\*\*\*

ტკბილი სიწმარე  
ცხადში გენახოს,  
და ეველა ნატვრა  
ავსრულებოდეს,  
ამ შობის ღამეს  
რაც კი გენახოს!  
მსურს, მოგილოცო  
ბრწყინვალე შობა  
და ზედ დაუერთო  
ღვთისმშობლის ღოცვა,  
შენი ცხოვრების  
მეგზური იეოს,  
სიყვარული და  
წმინდანთა ღოცვა!

\*\*\*

ქრისტეშობას დაგილოცავთ,  
დაესწართ მრავალს,  
გიდღეგრძელებთ  
მამულს, კერას,  
გენს და შთამომავალს!  
ათი მცნება იეოს ჩვენი  
საწეის-დასაბამი,  
ღვთისმშობელი  
გვმფარველობდეს,  
ამინ!



# 19 იანვარს ქრისტიანული სამყარო ნათლისღებას აღნიშნავს



ნათლისღების დღესასწაულზე და მის წინა დღეს ყველა მართლმადიდებლურ ტაძარში სრულდება წყალკურთხევა დიდი აიაზმის წესით და ნაკურთხი წყალი ურიგდებათ მორწმუნეებს. ამ წყალს უფლის მიერ კურთხეული იორდანის მაღლი ეძღევა და ჩვეულებრივი წყლისგან განსხვავებით, არ იხრწნება. ის შეგიძლიათ მთელი წლის განმავლობაში შეინახოთ და განსაცდელისა და ავადმყოფობის დროს მიიღოთ.

ნათლისღება - ეს არის დღე, როცა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ მდინარე იორდანიაში სიმდაბლით იოანე ნათლისმცემლისგან ნათელილო და წყალი ხრწნილებისაგან განწმიდა, რათა მის მიერ ცოდვათა მიტეგება მოენიჭებინა ჩვენთვის.

მაცხოვარმა თვითონ კი არ მიიღო სინმიდე ან როგორც უცოდველი, განწმედას კი არ საჭიროებდა, არამედ ნათელილო ჩვენი შეწვევისათვის, შემუსრა ეშმაკი და განწმედილი წყლით ჩვენი უსჯულოება განბანა.

ნათლისღებისას სულიწმიდის საიდუმლო მოქმედებით ქრისტიანი ქრისტეს სხეულს, ეკლესიას უერთდება. საიდუმლო კი მაღლის უხილავ მოქმედებაში მდგომარეობს: წყალი სხეულს განწმენდს, სულიწმიდა კი გონებისათვის მიუწვდომლად თვით სულს განბანს. განა ეს საკვირველია? – უბრალო მაგალითი მოვიშველიოთ: როცა ცეცხლი რკინის სიღრმეში შედის, ყველაფერი ცეცხლად იქცევა. ამ დროს ცივიც ცხელდება და შავიც ნათდება. თუ კი ნივთიერი ცეცხლი რკინაში შეღწევისას ასე დაუბრკოლებლად მოქმედებს, რაღა გასაკვირია, რომ სულიწმიდა სულის სიღრმეში აღწევდეს? (*კირილე იერუსალიმელი*).

**ამ დღეს ღვთის განცხადება ეწოდება, რადგანაც სწორედ მაშინ განცხადდა პირველად სამება – ძე ნათელს იღებდა, სულიწმიდა მტრედის სახით ჩანდა, ხოლო ციდან ისმოდა მამის ხმა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელ მე სათნო ვიყავ“.**

### ტროპარი:

რაჟამს იორდანეს ნათელ იღე შენ, უფალო, მაშინ სამებისა თაყვანისცემა გამოსჩნდა, რამეთუ მამისა ხმა გენამებოდა, და საყვარელად ძედ სახელ-გდვა შენ, და სული წმიდა სახითა ტრედისათა დაამტკიცებდა სიტყვისა მის უცდომელობასა, რომელი განსცხადენ, ქრისტე ღმერთო, და ყოველი სოფელი განანათლე, დიდება შენდა.

### კონდაკი:

განეცხადე დღეს ყოველსა სოფელსა და ნათელი შენი უფალო ან მოისახა ჩუენ ზედა, მეცნიერებით მცნობთა მათ შენთა და განსცხადენ ნათელო შეუხებელო.





# 27 იანვარი წმიდა ნინოს ხსენების დღეა



საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, 27 იანვარს მოციქულთა სწორის, წმინდა ნინოს ხსენების დღეს აღნიშნავს. წმიდა ნინო წარმოშობით კაბადოკიის ქალაქ კოლასედან იყო. მისი მამა - ზაბულონი საფრანგეთის განმანათლებლად ითვლება. მოციქულთა სწორი ქალწული ნინო საქართველოში დაახლოებით, 323 წელს ჯავახეთის მთებით შემოვიდა. მას ღვთისმშობლის მიერ ბოძებული ვაზის ჯვარი ეპყრა ხელში.

წმიდა ნინო ფარავნის ტბასთან ორი დღე შეჩერდა და მეთევზურთაგან მირთმეული საკვებით ძალა მოიკრიბა. დასასვენებლად მიწაზე მიწოლილს ძილში ბრწყინვალე კაცი ეჩვენა, რომელმაც დაბეჭდილი წერილი მისცა და უთხრა, რომ წერილი წარმართთა მეფისთვის მიერთმია, რადგანაც ამისთვის იყო მოვლენილი. წერილის თავში რომაულად იესოს სახელი ეწერა და როგორც მოსეს ქვის ფიცრებზე, ათი სიტყვა იყო დაწერილი.

ქართველთა განმანათლებლისა და მოციქულთა სწორის, წმიდა ნინოს ქადაგებით, საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად 326 წელს გამოცხადდა. ამ დროს სამეფო ტახტი მეფე მირიანსა და დედოფალ ნანას ეპყრათ.

**წმიდა ნინოს ხსენებას საქართველოს ეკლესია წელიწადში ორჯერ დღესასწაულობს: 1(19) ივნისს მისი საქართველოში შემოსვლა აღინიშნება, ხოლო 27(14) იანვარს - გარდაცვალება.**

### მავინ იწყობ სიტყუად ნინო და თქუა:

...და ვითარცა ვიქმენ მე ათორმეტის წლის, მშობელთა ჩემთა განყიდეს ყოველი, რააცა აქუნდა, და წარვიდეს იერუსალემდ. მაშინ მამამან ჩემმან დაიწერა ჯუარი პატრიაქისაგან და განიჯმნა დედისაგან ჩემისა. და შემიტყებო (ჩამიხუტა) მე მკერდსა მისსა და დამალუარნა, ვითარცა ღუარნი, ცრემლნი თვისნი თუალთა და პირსა ჩემსა. და მრქუა: „შენ მხოლოვო ასულო ჩემო, ესერა დაგიტევებ შენ ობლად ჩემგან და მიგითუალავ შენ ღმერთსა ცათასა, მამასა ყოველთა მზრდელსა და უფალსა, რამეთუ იგი არს მამაა ობოლთა და მსაჯული ქურივთა. ნუ გეშინინ, შვილო ჩემო! ხოლო შენ მაგდანელისა მარიამის შური აღილე სიყუარულისათვის ქრისტესისა და დათა მათ ლაზარესთა. და თუ შენ ესრეთ გეშინოდის მისა, ვითარცა მათ, მან ეგრეთ მოგცეს ყოველი, რააცა სთხოვო მას, ოდეს რა გინდეს მისგან“. და მომცა ამბორება საუკუნო და წარვიდა წიად იორდანესა კაცთა მათ თანა ველურთა, რომელ-რაა ყოფა მისი იცის მისმან უფალმან იესუ.

მოქცევაჲ ქართლისაჲ, შატბერდის კრებული


### ტროპარი:

სიტყვისა ღმრთისა მსახურთა თანამოსაგრეო და ანდრიას ქადაგებისა წარმართებო, ქართველთა განმანათლებლო და სულისა წმიდისა ქნარო ნინო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებაჲდ სულთა ჩუენთათვის.

### კონდაკი:

მოციქული ქრისტესგან გამორჩეული, ქადაგი სიტყვისა ღმრთისა განსწავლული, მახარებელი ცხოვრებისა, წინამძღვარი ქართველთა ერისა გზათა სიმართლისათა, დედისა ღმრთისა საკუთარი მოწაფე ნინო შევამკოთ დღეს ყოველთა ძნობითა საღმრთოთა, მეოხი მხურვალე, მცველი დაუძინებელი.





# ოჯახის სახსრუნჯო საჩუქარი

## ბედის ვახსხვცაჲ



ზაურ მაჩაიძე და მზია ამბროლიანი

27 დეკემბერია. თოვს, ხვავრიელად თოვს. ჭრებალო ზღაპრულ ქურქში გახვეულა, სძინავს მთებს, გორაკებს, ცა მრავლისმთქმელ რძისფერ ნისლს დაუფარავს. სიცივე ძვალსა და რბილში ატანს. ბელურების გუნდს ერთ-ერთი სახლის სახურავზე სათათბირო გაუმართავთ. მათი ჟღურტული მთელ სოფელს ესმის. გარშემო თითქმის ფიფქებიც გახალისდნენ, მზრწყინავი, ფარფატა თოვლის ქულაჯები ცეკვა-ცეკვით

ჰყვებოდნენ ბელურების ამუსიკებულ ჟღურტულს. რაღაც კარგი უნდა მოხდეს, ფიქრობენ მეზობლები, — ხედავთ, ფიფქებსა და ბელურებს კარნავალი გაუმართავთ. სოფელში ჩოჩქოლი ატყდა, რაჭველი ქალები თავიანთი შორსმჭვრეტელობის ნყალობით, მიხვდნენ, რომ ქალბატონი ჯულიეტა მშობიარობდა, ცოტა ხანში სახლის ფანჯრებიდან გამოსული სინათლე გარე სამყაროს ზეიმს შეუერთდა და თეთრი, ფანტელივით ციცქნა, ლამაზი თოვლის დედოფალა მოველინა ქვეყანას. გოგოა, გოგო! — ისმოდა გადაძახილები. კიდეც ერთი რაჭველი ქალი... ეს ოჯახის პირველი შვილია. ბედნიერია მამა, გერონტი

ამბროლიანი, უფალმა საახალწლო საჩუქარი გაუკეთა. იმ დღეს მზია ამბროლიანის ბედის ვარსკვლავი აკიაფდა.

გოგონა დღითიდღე იზრდებოდა. ბატონი გერონტი და ქალბატონი ჯულიეტა შვილის ბედნიერებით ხარობდნენ. პატარა მზია ყოველთვის თოჯინებით თამაშობდა. ექიმობა მოსწონდა. სოფლის მოხუცებს მზრუნველობას არ აკლებდა.





# ოჯახი



დღევი მაჩაიძე

სხვების დახმარება სიამოვნებას ჰგვრიდა.

სკოლის დამთავრების შემდეგ სწორედ ექიმობა იყო მისი მიზანი. სანადელს დიდი მცდელობის შემდეგ მიაღწია. პირველი წელი აბიტურიენტისათვის წარუმატებელი აღმოჩნდა. თუმცა მიზნის აღსრულებისთვის არც ძალა დაიშურვა და არც ენერჯია.

დღეს ქალბატონი მზია წარმატებული და დამსახურებული ექიმი. „მახსოვს, პატარა ვიყავი, ბაბუას ნაწლავების გადახლართვა დაემართა, ძალიან ცუდად იყო. მე იმდენად მიყვარდა და მეცოდებოდა იგი, სულ ვნატრობდი, ნეტა შემეძლოს რომ დავეხმარომეთქი. ამ და კიდევ ბევრი სხვა ცხოვრებისეული ფაქტების გამო ექიმობა მოვინდომე, სხვების შველა ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერებაა“, — ამბობს ქალბატონი მზია. სწორედ ამგვარმა სულისკვეთებამ განაპირობა რაჭველების მისადმი უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭრებალოდან რედაქციაში არაერთი ზარი შემოვიდა, გთხოვთ ქალბატონ მზიასთან ინტერვიუ ჩანეროთ და ჩვენი სახელით მადლობა გადაუხადოთო. ამაზე

დიდი ბედნიერება არაფერია, მადლიერი პაციენტი და მადლიერი თანასოფლელები, ადამიანების გულის მოგება იოლი საქმე როდია. ეს მოახერხა ქალბატონმა მზიამ, მოახერხა და თანაც როგორ? — მთელი სოფელი ეთაყვანება, ლოცავს, აქებს, აღმერთებს. ყველას ჭირ-ვარამის გამზიარებელი და ჭირისუფალია, ყველას გულისა და სულის მესაიდუმლე და მკურნალია, ყველას გვერდით მდგომი და მეგობარია. ამ თვისებების გამო ქალბატონი მზია სოფელმა არნახულად



ბესიკი მაჩაიძე

შეიყვარა, „არ ვიცი რით დავიმსახურე ყოველივე ეს, ნეტა რამეში გამოვადგე ჩემს ხალხს,“ — ბრძანებს ქალბატონი მზია და თავისებურად ეფერება ჭრებალოელებს.

განუზომელია მადლიერება მის მიმართ. რაჭიდან დაწყებული დედაქალაქამდე დამთავრებული მზია ექიმი ყველასთვის სანუკვარი ადამიანია. ცხოვრებამ დიდი დალი დაასვა, ნანატრი შვილი წაართვა და მარადისობის სამკვიდროსკენ გაუყენა გზას.

შაოსანი დედა, მისი ზნე-მალალი და სულგრძელი ხასიათიდან გამომდინარე პატარებს თავის ტკივილს არ აგრძნობინებს და ერთიორად უფრო ტკბილი და თბილია პაციენტებთან.

ჰყავს ვაჟი, შვილიშვილები, ბრწყინვალე მეუღლე, ოჯახი, რომლებმაც 27 დეკემბერს ოჯახის დიასახლისის, ქალბატონი მზიას იუბილე იზეიმა.

ქალბატონის, რომლის შესახებაც ლეგენდები დადის.

წინ მრავალი წელი გელოდებოდათ ყველასთვის საყვარელო ქალბატონო. ნელთა სიმრავლეს და ოჯახის კეთილდღეობას გისურვებთ, მშვენიერო მზია ექიმო.



მზია ამბროლიანის ოჯახი

წინო რეჰვიამპვილი



# ჭიფხოსი



მისი ნამდვილი სახელი ყორა იყო, ზედმეტ სახელად ჭიფხოს ეძახდნენ. ჭკუაზე ცოტა აფრიკად გახლდათ. როგორც ამბობდნენ, დედამისს აკვანი გადაბრუნებოდა რწევის დროს და ეტყობა მაშინ მიიღო ტვინის ერთ-ერთი ნახევარსფეროს დეფექტი, თუმცა მამამისს, ლევანტის რომ შეხედავდი დაკვირვებული თვალთ, ამ ამბავში ნამდვილად ეჭვი შეგეპარებოდა კაცს. ლევანტი სულ წინ წახრილი, წასაქცევად გამზადებულივით დადიოდა. გრძელი, წანვეტებული ცხვირიდან, ზამთარ-ზაფხულ ცინგლი ჩამოსდიოდა და წინ გამონეულ ქვედა ტუჩზე ეღვრებოდა. წინ წახრილი სიარულით ჭიფხოც მას ჰგავდა, მაგრამ შესახედაობას ვერ დაუნუნებდი.

ჭიფხო თავის ოჯახთან ერთად პირველად, მდინარეზე ბანაობის დროს ვნახე. საბანაოს თავზე გამავალ სოფლის გზაზე, ბატებივით ერთ რიგად გამწკრივებული მიდიოდნენ. წინ წელში გამართული, ჭიფხოს ცოლი, ჯულიეტა მიუძღვოდათ. უკან, წელში მოხრილი ლევანტი მიყვებოდა. წვეტიანი ცხვირით, თითქმის რძლის უკანალს ეხებოდა. სულ ბოლოს ჭიფხო მისდევდათ, უკან ხელებშემონყობილი. თავი მამასავით წინ წაეხარა, ჭრელი ჰალსტუხი თითქმის მუხლებამდე წვდებოდა. ბიჭებმა მათ დანახვაზე ხორხოცი ატყხეს.

— ჭიფხო, შე ძველო! სად იშოვე გალისტუკი?

— გადაგიშედათ პატრონი! — თავმოუბრუნებლად მოგვაძახა და ნაბიჯს აუჩქარა. წყლიდან ამოვედი და ცხელ ქვიშაში გავგორდით.

— ქალაქში იყო საშოვარზე წასული, მშენებლობაზე მუშაობდა, ფული იშოვა, ცოლიც უთხოვია და სახლში დაბრუნდა, — გვითხრა ჩვენს შორის ყველაზე უფროსმა.

— ალბათ ფულის გულისთვის წამოყვა, ან მაგასავით შერეკილია, თორემ ჭიფხოსთან რომელი ნორმალური ქალი გაჩერდება? — ვარაუდი გამოთქვა მეორე ბიჭმა. ჭიფხოზე საუბარი ამით დამთავრდა. ისევ წყალს დავუბრუნდით გასაგრილებლად.

გამართლდა მეორე ბიჭის ნათქვამი. ცოტა ხანში ჯულიეტა ისევე მოულოდნელად გაქრა, როგორც გამოჩნდა. დარჩნენ ჭიფხო და ლევანტი ერთმანეთის ანაბრად.

ჭიფხო კარგა ხანს დადიოდა კოსტუმში და ჰალსტუხში გამოპრანჭული. მამამისიც გვერდიდან მოუცილებლად დაყვებოდა თან. ტანსაცმელი ხომ შემოელანძლა და ჯულიეტასგან გადამალული ფულიც

რომ შემოელია, სამუშაოს ძებნა დაიწყო, მაგრამ ვერსად მოეწყო. ვიღაცამ მიახწავლა, ქალაქის საბჭოს მიაკითხე და იქ გამოგიძებნიან შესაფერის საქმესო. ჭიფხომ ტანისამოსი როგორც შეეძლო, ვითომ მოინწერიგა და სადაც მიახწავლეს, იქ მიაკითხა. მისი მისვლა გულწრფელად გაუხარდათ ქალაქის საბჭოში. დასუფთავების სამსახურს, მტვირთავი სჭირდებოდა ნაგვის მანქანაზე. ჭიფხომ თავი შორს დაიჭირა შეთავაზებული საქმისგან, მაგრამ სხვა რომ ვერაფერი გამოძებნა, დათანხმდა. სამუშაოზე გააფორმეს, სპეცტანსაცმელი, დიდი ნიჩაბი და ზარი ჩააბარეს. იმ დღიდან ჭიფხო კომუნალური სამსახურის შეუღვეელი მუშაკი გახდა. მიღებული ჯამაგირით თავსაც ირჩენდა და ლევანტისაც ხედავდა. ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამინა ქალამნად. თანამშრომლებთან ტრაბახობდა: — ჩემი უფროსის მეტი, ფეხებს ვერავინ მომჭამს ძირში! ემირე მაგარი კაცია!

ჭიფხოს ერთი ლამაზი ოთახიც მისცეს რესტორნის წინ მდგარ კომუნალურ სახლში. ლევანტი ყოველდღიურად ვეღარ ახერხებდა ქალაქში ჩამოსვლას „სოფლის საქმეებით იყო დაკავებული“, კვირაში ერთი-ორჯერ ჩამოაკითხავდა ხოლმე მონატრებულ შვილს. ჭიფხო ამაყად შეუძღვებოდა რესტორანში და ოფიციატს გასძახებდა: — ორი ხარჩო, ორი კატლეტი და ორი ბოთლი ღვინო მოგვიტანე. გემრიელად ისადილებდნენ. ლევანტი სოფლის გზას გაუყვებოდა, ჭიფხო თავის საქმეს მიაშურებდა. იმ დღეს სოფლიდან ჩამოსული ლევანტი ნამეტანი უხასიათოდ იყო. რესტორანში შევიდნენ და მაგიდას მიუსხდნენ.

— მამა, ბოში გინდა? — შეკითხვა შვილი.

ლევანტის ხმა არ ამოუღია.

— მამა, ხარო გინდა? — შემეკითხა ისევ ჭიფხო.

ისევ დუმილი.

— მამა, არც კატეტი გინდა? — ლევანტი თავჩაქინდრული იჯდა და ჯიუტად დუმდა.

— თუ არ გინდა, იყავი მშვიერი! — გაბრაზდა ჭიფხო და ოფიციატს თავისთვის შეუკვეთა საჭმელი. სწრაფად შეხვრიბა ბორში, ღვინოც მიაყოლა და კატლეტს შეუტია. ჭამას რომ მორჩა, ლევანტიმ მაშინ ასწია თავი. — ახლა მოგინდა? — გაბრაზდა





# კოლორიტი



ჭიფხო, — მითხარი რას შეჭამ და მოვატანიებ.

- კატეტი მინდა.
- ღინოსა არა დალევ?
- არა, ღიმონათი მიდა.

— მოუტანეთა ამასა კატეტი და ღიმონათი! — გასძახა ოფიციანტს ჭიფხომ.

ლევანტიმ უგემურად შეჭამა კატლეტი, ერთი ჭიქა ღიმონათიც მიაყოლა. დანარჩენი შვილმა მოიყუდა ბოთლით და ბოლომდე გამოცალა. ლევანტი ისევ თავჩაქინდრული იჯდა და წამოდგომას არ აპირებდა.

— მამა, ადექი ახლა, სამსახურში მაგვიანდება.

— გლახათა ვარ, — ისევ გაჭირვებით ამოიკნავლა ლევანტიმ, ჭიფხო ჩაფიქრდა, მერე წამოდგა, მამასთან მივიდა, მკლავში ხელი მოკიდა და წამოდგომაში მიეშველა.

— ადექი, ექიმთან წაგიყვან, ნუ გეშინია.

ლევანტი გაჭირვებით წამოდგა და მორჩილად გაყვა.

საავადმყოფოს პერსონალი რამდენიმე დღე თავგამოდებით ცდილობდა ლევანტის გადარჩენას. ჭიფხოც ჩიტის რძეს არ აკლებდა ავადმყოფს, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ლევანტის სული უკვე ზეცაში იყო, ჭიფხო რომ მოვიდა საჭმელებით დატვირთული საგანგებოდ გამოწყობილიყო, ჰალსტუხიც გაეჭირა, ჭუჭყიანი პერანგის საყელოში, მკვდარი მამა რომ დაინახა, ხმამალა ტირილი აუვარდა: — შე სანყალო მამაჩემო წახვედი საბუდაოთა, ველარა ნახე შენი შვილი გამოპრანჭული ახალ ტუფებში და გასტუქში, ველარა ვჭამთ ერთად ხატოს და კატეტებს?..

ლევანტის სიკვდილიდან შავი ტანსაცმელი აღარ გაუხდია და წვერი აღარ გაუპარსავს ჭიფხოს. კარგა ხანს ასე თუ ისე, ყურადღებას აქცევდა სისუფთავეს, სანამ ქალაქში საერთო აბანო იყო, თვეში ერთხელ დადიოდა. საცვლების გაუხდელად გაისაპნებოდა, ჭუჭყიან ტანსაცმელს იქვე დაყრიდა, ვიღაცისგან ნაჩუქარ სამაგიერო ტანისამოსს ჩაიცმევდა. აღაუღაჟებული გამოვიდოდა ქუჩაში. აბანოს შემდეგ განსაკუთრებით უყვარდა დალევა. კარგად გამოთვრებოდა, თავის ბუნაგივით ოთახში შეძვრებოდა და განცხრომით ეძინა გათენებამდე.

ჭიფხორესტორნის მუდმივი „კლიენტი“ იყო. ფული, რა თქმა უნდა, ყოველთვის არ ჰქონდა, ნისიაზე უარს არასდროს ეუბნებოდნენ, რადგან ხელფასს აიღებდა თუ არა, ვალს მაშინვე ისტუმრებდა, სადილად, ერთ ბოთლ ღვინოს აუცილებლად სვამდა. თუ ვინმე ღვინოს „უფემქაშებდა“ საღამოსთვის, ან მეორე დღისთვის შეანახინებდა მებუფეტეს. დროთა განმავლობაში სმას უმატა. უკვე ყოველ საღამოს თვრებოდა, მაგრამ დილით, უთენია დგებოდა და საქმეს არ დალატობდა. მიუჯდებოდა მძლოლს გვერდით, ზარს ხელში დაიკავებდა, კაბინიდან თავს გამოყოფდა, თან არანკუნებდა და ხმამალა ყვიროდა: — ნაფარავი!

ნაფარავი!

ხმაურზე, ნაგვით სავსე ვედროებით, ტაშტებით, ცელოფნის პარკებით ხელში გამოეფინებოდნენ ქალები.

— ჟორა, თუ კაცი ხარ, ნულარ გაგვანვალე და ბარემ შენ თვითონ შეყარე ნაგავი მანქანაზე, — მოფერებით შეეხვეწებოდნენ, ჭიფხოს დაძახებას ვინ გაბედავდა. ჭიფხო ვითომ ბრაზობდა, უღვაშებში ელიმებოდა, ნაგავს დაუზარებლად ყრიდა ძარაზე, თან ქალების გასაგონად ბუზღუნებდა: — ამდენი ხანი გირიკინეყე და კიდე მე უნდა შეგიყაროყე?

შაბათ-კვირას რაიკომის სახლს რომ მიუახლოვდებოდნენ, ვიღაც გააფრთხილებდა: — ჟორა, ძალიან ნუ ხმაურობ რაიკომის მდივანს სძინავს!

— ნურცა გაღვიძებია! — მიანყველა გაბრაზებულმა.

სიბერეში რომ შეაბიჯა, გაუჭირდა მტვირთავად მუშაობა. მეხსიერებაც დალატობდა. თავისსავე ნახერხის გროვას, ყინვაში რომ ველარ მონაგრევედა, გაჯავრებული მიანყველიდა: — გადაგიშენდა დამყრელი!

თავდადებული შრომა დაუფასა ხელმძღვანელობამ და მსუბუქ სამუშაოზე გადაიყვანეს. ქალაქის ცენტრში მოხეტიალე ძროხების და ღორების გადევნა დაავალეს მოფარებულ ადგილებში. ჭიფხოც კეთილსინდისიერად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. ხელში მსხვილი ჯოხი ეჭირა, ადმინისტრაციული სახლის წინ, ნაძვების ქვეშ დადგმულ სკამზე იჯდა დილიდან დალამდებამდე. დალანდავდა თუ არა ცენტრალურ მოედანზე, „პლოშადზე“ ქურდულად შემოპარულ საქონელს, ჩუმად მიეპარებოდა და სნაიპერული სიზუსტით, გამეტებით ესროდა ჯოხს ფეხებში, თან გემრიელად შეუკურთხებდა: — შენი მომწველავი... — ერთ-ერთი ძროხის პატრონს ყურში მისწვდა ეს ამბავი და უსაყვედურა: — ჟორა, შე კაცო, ხო იცი რო ეს ძროხა ჩემია და რატომ აგინებ.

— შენი როა, იმიტომა ვაგინებ! — მოკლედ მოუჭრა ჭიფხომ. ქალმა მიანყველა და სახეანითლებული გაშორდა იქაურობას.

მიწისძვრის წელს, კომუნალური სახლი, სადაც ჭიფხოც ცხოვრობდა თითქმის მთლიანად დაინგრა. არასგზით არ გამოდიოდა ნახევრად ნანგრევებად ქცეული ოთახიდან. უნივერსიტეტის უკანა ეზოში პატარა ოთახი აუშენეს, თუჯის ღუმელი, სასტუმროს გამონაცვალი სანოლი, კარადა, მაგიდა დაუდგეს, ლოგინიც გაუნყვეს. არ მოეწონა ახალი საცხოვრებელი. სანოლი დაშალა, ღუმელთან ერთად გარეთ გამოაგდო, ლოგინი პირდაპირ იატაკზე დააგო და ისე იძინებდა.

— ღუმელს რაღას ერჩოდი, გაიყინები შე უბედურო! — უსაყვედურა ბრიგადირმა.

— ნუ გეშინია, ტანისამოსიანა ვნევი და არა



## კოლორიტი

მცია, — დამშვიდა ყურადღებიანი უფროსი. დიდხანს არ უცხოვრია იმ ოთახში. მიწისძვრით დაზარალებულებისათვის ვაგონები შემოზიდეს, უსახლკაროდ დარჩენილებს დაურიგეს.

— ერთი ვაგონი მეც მომცეს! — თქვა და აღარ გადათქვა ჭიფხომ. გამოუძებნეს ერთი მომცრო ვაგონი და სპორტდარბაზის უკან ჩაუდგეს. სასწრაფოდ გადაბარგდა. ქალაქში გადაბედილი ხეების ნარჩენებით გამოტენა მთელი ვაგონი, ღუმელიც შეიტანა. თვითონ გაჭირვებით ახერხებდა შიგ შესვლას და დაძინებას. უფროსები კარგა ხანს ნერვიულობდნენ, ცეცხლი არ გაუჩნდეს და შიგ არ გამოიწვასო, მაგრამ არ მოგიკვდეთ მტერი. ზამთარი ისე გავიდა, ცეცხლი ერთხელაც არ დაუნთია.

— თეთრი დათვია, თუ რა უბედურებაა? — უკვირდა ყველას, მაგრამ ჭიფხომ მშვიდობიანად გადაიტანა ის ზამთარიც და შემდეგი ზამთარიც.

ცალი თვალი ამოღებული ჰქონდა ჭიფხოს. ადრე, მტვირთავად რომ მუშაობდა, გზა ველარ გაიგო, ნაიქვა და თვალი გაიფუჭა. იმასაც ამბობდნენ ვილაც გარეწრებმა სცემესო. ტკივილებმა ძლიერ შეანუხა.

უფროსმა მანქანაში ჩასვა, თბილისში წაიყვანა და ოპერაცია გაუკეთა. ქალაქიდან დაბრუნებული ჭიფხო კმაყოფილი უყვებოდა თანამშრომლებს: — ჩემი უფროსის ოჯახი ააშენოს ღმერთმა. კაი ექიმთან მიმიყვანა, ისე ამომიღო თვალი, არაფერი გამიგია. ნამოსვლისას მითხრა: — ნუ გეშინია ჟორა, მეორე თვალმაც თუ შეგანუხა ჩამოდი და იმასაც ამოგიღებო.

მეორე თვალმაც დაუნყო ტკივილი. სასმელი წყენდა, მაგრამ მაინც არ ეშვებოდა, პირიქით, უმატა და უმატა ქეიფს. რალაცამ მოწამლა, ძლივს გამოგლიჯეს სიკვდილს ხელიდან. გაკვირვებული ექიმები მხრებს იჩეჩავდნენ:

— ასეთი ჯანმრთელი ორგანიზმის პატრონი ჯერ არ შეგვხვედრია. რაც მაგას ჭუჭყი გაუვიდა დაბანის დროს, ან აქამდე, როგორ არ აიკიდა რაიმე ინფექცია. ამდენი წლებია ნაგავში ამოვლებული ხელებით ჭამს საჭმელს.

ჭიფხო გამოკეთდა და კიდევ დიდხანს უძლებდა ძროხების და ღორების დაჟინებულ შემოტევას. ადმინისტრაციული სახლის გარშემო გამეფებულ ერთფეროვნებას ახალისებდა. გაზეთში მოხვდა თავისი განუმეორებელი წვერით და ჯოხით ხელში. ერთმა სტუმარმა კარგა ხანს უყურა და გაკვირვებულმა ჩაილაპარაკა.

— სადამ ჰუსეინი რომ ამოიყვანეს ბუნკერიდან წვერმოშვებული, იმას გავს ტყუპისცალივითო.

ახლადამენებული ეკლესიის მოძღვარი საჭმელს და ტანსაცმელს უგზავნიდა, ზოგჯერ თვითონაც მოინახულებდა ხოლმე. ერთ მშვენიერ დღეს, თვითონ ჭიფხო ეწვია ეკლესიაში. ხატთან

მივიდა, პირჯვარი გადაინერა, სანთელიც აანთო და გაოცებულმა მოძღვარს უთხრა:

— მალე მოვკვდები მამაო და მოუნათლავი არ მინდა წავიდე საიქიოში.

— კი ბატონო, სიამოვნებით. ნათლია თუ გყავს შერჩეული?

— მყავს, რავა არ მყავს, კოდუა იქნება ჩემი ნათლია.

— კოდუა ვინ არის?

— გივი ქვია, კოდუასა, ისე უძახიან.

ორ დღეს ამზადებდნენ ჭიფხოს ნათლობისთვის. წვერი გაპარსეს, ხელ-პირი დაბანეს, ტანსაცმელი გამოუცვალეს.

— მკვდრისა ხო არ არისა? — უთხრა ტანსაცმელზე, — ნამკვდარევი არაფერი მინდა!

ფეხსაცმელები ვერასგზით გახადეს, ისე ჰქონდა გადაჭრილ ჩექმებში ჩაჭედილი. ნათლობის დროს ფეხსაცმელების გახდა აუცილებელი იყო. თვითონ მღვდელმა შემოჭრა დანით. ჭუჭყისგან გაშავებული ფეხებით ჩააყენეს ემბაზში. წყალმა ფერი შეიცვალა. ჭიფხოს ნეტარების ღიმილი ეფინა სახეზე.

ნათლობის შემდეგ გარეთ გამოიყვანეს, ფეხები საგულდაგულოდ დაბანეს, ახალი წინდები და ფეხსაცმელები ჩააცვეს.

ნათლობის დროს გააფრთხილეს, სმა და ლოთობა დიდი ცოდვა არის, ზედმეტს ნუ დაღევ ხოლმეო, მაგრამ ხასიათი ველარ შეიცვალა. ზოგჯერ ისე თვრებოდა, ვაგონამდე ველარ მიდიოდა, ქუჩაში წაქცეულს ეძინა ხოლმე.

თბილ ამინდებში კიდევ რა უშავდა, მაგრამ ზამთარის ყინვები რომ დაიჭირა, ერთ დილით გაყინული იპოვნეს ხის ძირში.

მორგში გადაასვენეს პოლიციელებმა. საავადმყოფოს თანამშრომლებმა დაბანეს, გააპატიოსნეს. ხელოსანმა სასვენებელი უფასოდ დაუმზადა, ვილაცამ რკინის ჯვარიც გააკეთებინა.

უამრავი ხალხი მიაცილებდა სასაფლაოსკენ. ქალები ცრემლებს იმშრალბდნენ ცხვირსახოცებით. პატარა ქალაქის მცხოვრებლებმა გულით დაიტირეს კაცი, რომელსაც თავისი არსებობით არავინ შეუნუხებია. პირიქით, ყოველთვის ისეთ საქმეს აკეთებდა, რასაც სხვა ხელს არ მოკიდებდა და რომლის გარეშეც ყველას გაუჭირდებოდა ნორმალურ პირობებში ცხოვრება.

ქრისტიანულად დაკრძალეს, საფლავი შემოღობეს. თანამშრომლებმა პურმარილი მოამზადეს და პატარა ქელეხიც გადაუხადეს.

აღდგომისა და გარდაცვლილთა ხსოვნის დღეებში სასაფლაოზე გასული ხალხი შენდობას უთვლის უპატრონო მიცვალებულებს, ჭიქა ღვინოსაც თავს წაუქცევენ ხოლმე და თბილად იგონებენ ჭიფხოს, რომელიც ნამდვილად დააკლდა პატარა ქალაქს.

**ზოდინო სომასურიძე**



- შინ მაინც არაფერს აკეთებ და თუ გინდა, ამ საახალწლოდ პატარა ფულსაც გაშოვნინებ და შენი თამროც კმაყოფილი დაგრჩება, - უთხრა შოთიკომ ძმაკაცს და გამომცდელად მიაჩერდა.

- რას მთავაზობ ამისთანას? - გაკვირვებულმა შეხედა თენგომ „ბიზნესპარტნიორს“.

- შენმა ცოლმა შემომჩივლა, - უმუშევრობამ და უსაქმურობამ გაალოთა, ეგებ რამე მოუხერხო, თორემ ან მაგას მოვკლავ, ან მე მოვიკლავ თავსო. ხომ იცი, სანამ დიდ საქმეს წამოიწყებდე, პატარით უნდა დაიწყო... იმ ფირმამ, სადაც მე ვმუშაობ, საახალწლოდ ასეთი რამ მოიფიქრა - „თოვლის ბაბუა გამოძახებით“. ყველგან გავაკარით განცხადება, ტელეფონიც მივუთითეთ და იცი, რამდენმა დაგვირეკა? შვიდი თოვლის ბაბუა დავიქირავეთ, მაგრამ ნაღდად არ გვეყოფა... ჰოდა, მერვე შენ იყავი. ჩაგაცმევთ სანტას ან ნაღდი ქართველი თოვლის ბაბუს ტანსაცმელს და ჩამოუარე ოჯახებს. საჩუქრებს ჩვენ ჩაგინებოთ ხურჯინში, ლექსები და სიმღერები კი იცი და დალევაც გიყვარს. გამოძახება კი ფასიანია.

თენგოს გულს მოეშვა - თამროსა და ბავშვებს გავახარებო და ულაპარაკოდ დათანხმდა ძმაკაცს. წელიწად-ნახევარი სამსახურს ამაოდ ეძებდა. სადაც მივიდა, ყველგან ღიმილით დაჰპირდნენ, - დაგირეკავთო, მაგრამ არავის დაურეკავს. მოლხენა დიდებული იცოდა და ხან ვინ ეძახდა გაშლილ სუფრასთან, ხან - ვინ. შინ გვიან მისულს ცოლი ქოქოლას აყრიდა, - დაგეცეს მეხი, ისევ დალიეო? „მეხდაცემული“ თენგო ჩუმად შეიპარებოდა საძინებელში და... იძინებდა მეორე დღის იმედით... სამაგიეროდ, ახლა მშვენიერი საქმე გამოუჩნდა - გაერთობოდა და ფულსაც იშოვიდა.

შოთიკომ მისალოცი ტექსტი მისცა, რომელიც ტრადიციულად ასე იწყებოდა: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი“. ამის მერე უფლება ჰქონდა, იმპროვიზებულად გაეგრძელებინა „სამუშაო“. გული კი დასწყდა, რომ ნაბადი და სვანური ქუდი არ ერგო, მაგრამ თავი ინუგეშა, - არა უშავს, მაინც ევროპისა

და ამერიკისკენ გვიჭირავს თვალი და რაც არის, არის, ვიქნები სანტა კლაუსიო.

31 დეკემბერს დილიდანვე გამოეწყო სანტა კლაუსის წითელ ტანსაცმელში, თეთრი წვერ-უღვაშიც მოირგო და სარკის წინ პატარა რეპეტიციაც გაიარა... საღამოს 9 საათზე ხელში დამკვეთთა გრძელი სია დაიჭირა, საჩუქრებით სავსე სანტას „ბოხჩა“ მხარზე გადაიკიდა და გაუდგა გზას.

...ყველა ოჯახში ბავშვები ჟივილ-ხივილით ეგებებოდნენ, გაფართოებული თვლებით უცქერდნენ თეთრწვერა „სანტა კლაუსს“, რომელიც ქართულად ულოცავდათ ახალ წელს და ცეკვავდა კიდეც. რაღა თქმა უნდა, ჭიქის აუნეველად არ უშვებდნენ და ჩვენი სანტა-თენგო გვარიანად გამოგვითვრა... ქეიფ-ქეიფით მიულოცა 14 ოჯახს დღესასწაული. ბოლოს, ფეხარეული, ღიღინ-ღიღინით მიადგა ბოლო, მეთხუთმეტეს. დარეკა ზარი და კარი ფართოდ გაიღო. თენგომ ჯერ კანფეტები შეყარა, მერე მარჯვენა ფეხი ზღურბლს გადააბოტა და ხმამაღლა დაიძახა: „შემოვდგი ფეხი, დაგეცეთ მეხი!“ ამის თქმა იყო და ქეროში სწვდა ოჯახის უფროსი, - შენ დაგეცეცე ოჯახი, რამ გათქმევეინა ახალი წლის ღამეს ამისთანა რამე, მეკვლე მაინც არ იყო... თუ სმა არ შეგეძლო, რას სვამდი ჩემდა ჭირად!.. იმ თქვენს ფირმას თუ არ ვუჩივლო, კაცი არ ვიყო და ჩვენი „სანტა“ კიბზე დააგორა. მეორე დღეს, გამოფხიზლებულმა თენგომ რომ გაიგონა თამროს ქოქოლა, - დაგეცეს მეხი, არც თოვლის ბაბუად ვარგინარო, მიხვდა, რატომაც წამოსცდა მეთხუთმეტე ოჯახში ასეთი „დალოცვა“.

მართალია, „პატარა ფული“ იმ საახალწლო დღეებში ვეღარ იშოვა თენგომ, მაგრამ სანტა კლაუსის ერთდღიანი როლი „ფეხბენიერი“ გამოდგა. ძალიან მაღე ისეთი სამსახური იშოვა, რომ თამროს წყევლა-კრულვა მაშინვე შეწყდა. მეთხუთმეტე მასპინძელს კი აღარ უჩივლია, რადგან შოთიკოს ფირმამ საჩუქრებით დაზურგული ერთი „ნაღდი“ ქართველი თოვლის ბაბუა და ერთიც - სანტა კლაუსი გაუგზავნა მისალოცად.



# გივი სისარულიძე

ნოველა



## სიკვდილის ნაძვის ხე

სრულიად პატარა ბიჭი ვიყავი, როდესაც დედას პირველად ვკითხე: დედა, დედა, სხვების ნაძვის ხეზე ამდენი ბურთულებია, ჩემსაზე ყველანაირი სათამაშოა, მაგრამ ბურთულები მხოლოდ ხუთია... დედამ სიყვარულით თავზე ხელი გადამისვა და მითხრა: შენ უკვე ხუთი წლის გახდი, ეს ნაძვი კი სიცოცხლის ნაძვის ხეა, რომელზეც ბურთები შენი წლოვანების მიხედვით ჰკიდია, ყოველ წელს თითო ემატება, გვინდა, რომ ას ბურთულამდე ავიდეთ!

მართალი გითხრათ, დედაჩემის პასუხისა ვერა გავიგე რა, მაგრამ თავი დაუუკარი, აქაოდა ყველაფერი გასაგებია-მეთქი. იმ დღის შემდეგ მრავალი წელი გავიდა, მე კი ყოველ ახალ წელს ველოდებოდი, თუ რა ფორმის, ფერის და მოხატულობის ბურთულას ჩამოკიდებდნენ საშობაო ნაძვის ხეზე ჩემს გასახარად მშობლები. მეორმოცე ბურთულაზე მამა გარდამეცვალა, ხოლო ორმოცდამეცხრეზე ჩემი მშვენიერა დედაც დავეკარგე. დავრჩი ასე უძიროდ, არც დედა, არც მამა, არც ცოლ-შვილი.

კარგად მახსოვს, ახალი წლის წინა დღე, თოვლი ციდან ისე ბარდნიდა, ვიფიქრე თეთრი ფერიების გუნდი დაიძრა დედამინის მოსაფერებლად-მეთქი. გამახსენდა ან გარდაცვლილი მშობლები, რომლებიც ახალი წლის წინა დღეს სახლში ულამაზესი ნაძვის ხითა და მისი შემამკობელი ბრჭყვიალა ბურთულით ხელდამშვენებული ბრუნდებოდნენ. სევდამ შემიპყრო. იქვე, ქუჩის კუთხეში, ვილაც გლეხი ნაძვის ხეებს ჰყიდდა. ფასი ვკითხე და ჯიბიდან ფული ამოვიღე. - ორი ნაძვის ყიდვა მინდა-მეთქი ვუთხარი. განცვიფრდა: ორი რად გინდაო მკითხა? რად და ჩემო ოლია, ეს ერთი სიცოცხლის ნაძვის ხეა, მეორე კი სიკვდილთან დაახლოებისა. ეგ როგორ? გაიკვირვა. როგორ და ასე, ვუთხარი და სახლში შევაბიჯე. აბა, ოლია, მომეხმარე ნაძვის ხეების განყოფაში...

სიცოცხლის ნაძვის ხეზე ორმოცდაცხრა ბურთულა ჩამოვკიდე. უცებ ოლიას თვალები ეშმაკურად აუციმციმდა და კალთის ჯიბიდან დიდი ფრანგული ბურთულა ამოიღო, — ვიცოდი, რომ აღარ შეიძენდი და დაბადების დღისთვის გიყიდეო, მითხრა. მე კი ბურთულა სიკვდილის ნაძვის ხეზე ჩამოვკიდე. ენყინა, რას შვრებო? მაგრამ ჩანაფიქრს მიმიხვდა და მხოლოდ თავისთვის ჩაილულულა, დიდი უცნაური კაცი ხარო.

ის დღე იყო და ის დღე, ყოველ ახალ წელს ოლია სიცოცხლის ნაძვის ხიდან თითო ბურთულას აკლებდა და სიკვდილის ნაძვზე ჰკიდებდა. ჩემი უცნაური ახირება მთელმა ჩემმა სამეგობრომ შეიტყო. მკიცხავდნენ, ღმერთს ნუ სცოდავ, ამ სისულელეს შეეშვი, თორემ იცოდე ცუდად დაამთავრებო. მე კი ღიმილით ვპასუხობდი: ამაზე მეტი რა უნდა დამემართოს? დავრჩი ასე ეულად და სიკვდილის განაჩენს ველოდები -მეთქი. უკვე ოთხი ბურთულა აკლდა სიცოცხლის ნაძვს, რომლებიც სიკვდილის ნაძვის ხეზე გადასკუპებულან. „პრივეტ“ ლამაზებო, ჩავილაპარაკებდი ხოლმე ჩემთვის ისე, რომ სიცოცხლის ნაძვისკენ არც კი ვიხედებოდი. სიკვდილის ნაძვთან ვიდექი მდუმარედ. ოლია მსაყვედურობდა, დავანებოთ თავი ამ სისულელეს და ყოველ წელს ერთი ნაძვის ხე დავდგათ, ისე როგორც ნორმალურ ხალხს შეჰფერისო. მე კი გავეჯიუტდი, არა-მეთქი!

ჩემს ეზოში, ერთ ოთახიან ბინაში ლტოლვილები ცხოვრობდნენ. დედა, მამა და ორი შვილი. ქალ-ვაჟი ისეთი ლამაზი იყვნენ, რომ სახლში ისე არ დავბრუნდებოდი, მათთვის რაიმე საჩუქარი არ მიმეტანა. ერთმშვენიერდღეს, მამარუსეთშიწავიდა სამუშაოდ. დიდი ფულის შოვნა დაინყო. საწყლებმა ამოისუნთქეს. არ გასულა ორი წელი, გავიგე, რომ ამ ძალღისშვილმა ვილაც რუსის გოგო მოიყვანა ცოლად. საწყალმა ბავშვებმა მოინყინეს. ჯერ ის





# პროზა



არ კმაროდა, რომ საკუთარი კერა დაკარგეს, ახლა კი ბედისწერამ მამაც წაართვათ. დედამ ქმრის ღალატი ისე განიცადა, რომ ცოტა ხანში ლოგინად ჩავარდა და გარდაიცვალა. ის დამპალი კი ცოლის დაკრძალვამდე არ ჩამოვიდა, ნათესავებს ფული გამოუგზავნა, პატივისცემით დამარხეთო. ხომ იცით რომ ჩამოვიდე, უკან ველარ დავბრუნდები, ვიზას აღარ ჩამირტყამენო. მერე თავის დას დაურეკა, ბავშვები საცხოვრებლად შენთან გადაიყვანე, მათი რჩენა ჩემზე იყოსო. ამ არაკაცზე მაგრად დავიბოღმე. კიდევ კარგი არ ჩამოვიდა, თორემ, ალბათ ცემით ამოვხდდი სულს. შევხედე გაუბედურებულ მის დას და მივხვდი, რა დღეშიც ჩავარდებოდნენ ბავშვები. ჯერ თვითონ რა ჰქონდა, რომ მათთვის გაეღო. თანაც, სადღაც გარეუბნის დასახლებაში ყოფილ სკოლაში, ცხოვრობდა ლტოლვილებთან ერთად. იცი, რას გეტყვი ეთერ? — მოდი, ეს ბავშვები მე დამიტოვე. ხომ იცი, არავინ მყავს. მე და ოლია ჩიტის რძეს არ მოვაკლებთ, შენ ძმას კი უთხარი, ვითომ შენთან იზრდებიან. ამათთვის გამოგზავნილი ფულით კი შენს შვილებს მიხედე-მეთქი. ეგ როგორ? როგორ და ლამაზად, არც შვილებად ამყავს და არც მამას ვართმევ. სანამ სკოლას დაამთავრებენ ჩემთან იყვნენ მერე კი თვითონ გადამწყვიტეთ მათი ბედი. ეგრე როგორ შეგანუხოთო? — მითხრეს, პირიქით გამახარებთ-მეთქი! შევძახე და ორივე ჩემთან დავტოვე. შენს კაცობაში ეჭვი არასოდეს შემპარვიაო, მითხრა ოლიამ და ბავშვები საკუთარი შვილებივით ჩაიკრა გულში. ორივეს ვანებივრებდი, მინდოდა დედის გარდაცვალებითა და მამის ღალატით გამოწვეული სევდა როგორმე გამექარწყლებინა მათთვის. უკვე მესამე ახალ წელს ვხვდებოდით ერთად. ნაძვის ხეების ამბავი ბავშვებმაც მშვენივრად იცოდნენ. მართალია უკვირდით ჩემი ასეთი ქცევა, მაგრამ არ იმჩნევდნენ. ამჯერადაც ორი ნაძვის ხე მოვიტანე სახლში. ყუთიდან სათუთად ჩანყობილი ბურთულები ამოვიღე და სიცოცხლის ნაძვის ხე გავანყვე. შემდეგ, ერთი ბურთულა სიკვდილის ნაძვზე გადავანაცვლე. მერე ჩემს უსაყვარლეს ოჯახის წევრებს შევუტრიალდი და შევძახე: აბა, თუ



მიხვდებით, რა სიურპრიზი მოგიმზადეთ-მეთქი, პატარა არჩილი გაოცებული თვალებით მიყურებდა და ვერაფრით გამოეცნო, თუ რა სიხარული ელოდა, ხოლო სახეგაბრწყინებულმანიომ შესძახა: თოვლის ბაბუა და ფიფქია გვესტუმრენო! მივხვდი, რომ ოლიამ „ჩამიშვა“ ნინოსთან და ღიმილით ვუთხარი არჩილს, ხედავ შენი და რა ჭკვიანი გოგოა, როგორ გამოიცნო-მეთქი. მან თავისი ჭკვიანი თვალები შემომანათა და შესძახა: ოლია ბებო თუ მეტყოდა მეც გამოვიცნობდიო. ყველას სიცილი წაგვსკდა. მართლაც, ცოტა ხანში, ათასი სათამაშოებითა და ტკბილეულით დახუნძლული. თოვლის ბაბუა და ფიფქია გვეწვივნენ, შემდეგ, სიცოცხლის ნაძვს, ბავშვებთან ერთად რამდენჯერმე შემოუარეს და ცეკვითა და სიმღერით აიკლეს იქაურობა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა მათ გაბრწყინებულ სახეებს ვუყურებდი. ახლა კი მთიულური დავუაროთ-მეთქი, შევძახე. გადახტა თოვლის ბაბუა და ფიფქია გამოიცეკვა. მერე არჩილს დაავლეს ხელი. არჩილიც დატრიალდა, კარგი ვაჟკაცივით გაუსვა და გამოუსვა. ის იყო, თავმომწონედ რაღაც იღეთი ჩაახვია, რომ ფეხები აებლანდა და სიკვდილის ნაძვს დაეჯახა. ნაძვი შეტორტმანდა, თითქოს წაქცევა არ უნდოდა, მაგრამ მაინც თავის სათამაშოებიანად მოადინა ძირს ზღართანი. ყველა სათამაშო დაიმსხვრა. არჩილი კი შეშინებული მიყურებდა, არ გამიბრაზდესო. გიჟივით მივარდი, ხომ არაფერი იტკინე-მეთქი, როცა დავრწმუნდი, რომ ყველაფერი კარგად იყო, გულში ჩავიკარი და გავიძახოდი, ესეც შენ, სიკვდილის ნაძვის ხე, შენ იქ რა გესაქმება, სადაც სიცოცხლის ავარდნილი ალი სამყაროს ეალერსება... ესეც შენ-მეთქი.

იმ დროის შემდეგ, ორი ნაძვი აღარ მიყიდა, ხოლო სიცოცხლის ნაძვზე, ჩემი წლოვანების მიხედვით, ყველა ბურთულა ჩამოვკიდე, რომლებსაც ზედ ნინოსა და არჩილის წლოვანების ახალი ბურთულები დავამატე.

ერთ ღამეს ძილში დედა გამომეცხადა, — გმადლობ, შვილო იმ სიკეთისთვის, რაც მე და მამაშენს გაგვიკეთეთო. რა სიკეთე, დედა, ისე წახვდით ამ ქვეყნიდან, ვერაფერი





მოვასწარი, თქვენთვის რომ მომეძღვნა-მეთქი. დანყნარდი შვილო, დედისათვის იმაზე დიდი საჩუქარი რა უნდა იყოს, როცა მისი შვილი სიკეთით ცხოვრობსო. მერე ხელი ჩამჭიდა, თეთრი მტრედების გუნდს ძაფი გამოაბა და ცაში ამაფრინა.

მტრედები ეკლესიის გუმბათზე შემოსხდნენ, მე კი ჩამოვარდნის შიშმა შემიპყრო და ჯვარს ჩავეჭიდე. უცებ საიდანღაც ანგელოზი მოფრინდა. სახე ბავშვების დედას მიუგავდა. ფრთებზე შემისვა და ეკლესიაში შემაფრინა, საკურთხეველთან ნელა დაეშვა და ფრთები ნაზად დაიქნია, უცებ, ვიღაც მექორწილებთან ერთად ჯვრისწერაზე აღმოვჩნდი. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. გვერდზე მდგომ თეთრწვეროსანს ვკითხე — ვისი ჯვრისწერაა-მეთქი? შენისო, მითხრა. მინდოდა მეთქვა, ცდებით, ბატონო, როგორ გეკადრებათ-მეთქი, რომ კაციც გაქრა და მეც გამეღვიძა. სიზმარი არავისთვის მომიყოლია. იმავე საღამოს მეზობელი ქალბატონი გვენვია, რომელიც ხშირად გვსტუმრობდა იმის შემდეგ, რაც ბავშვები საცხოვრებლად ჩემთან გადმოვიყვანე, მათ გერმანულ ენაში ამეცადინებდა. თვის ბოლოა. გარკვეული თანხა კონვერტში ჩავდე და

გავუნოდე. მაგას ნუ მაკადრებთ, სიკეთე ფულით არ იზომებაო. ეს სიტყვები ისე წარმოსთქვა, მივხვდი, არ არტიტობდა. ბოდიში-მეთქი და ფული ცივად დავდე მაგიდაზე. ჰოდა, ჩემო ბატონო, სწორედ ამ ახალგაზრდა ქალმა შემოაბიჯა ჩემს სახლში. მორცხვად, თავდახრილმა მომმართა, შემეყვარდი და რა ვქნაო? არაფერი, აქ დარჩი-მეთქი, მივუგე ჩემდაუნებურად, ხოლო რამოდენიმე დღეში სიონის საკათედრო ტაძარში ჯვარი დავინერეთ. როცა მღვდელი ჯვარს გვენერდა, ვცუღლუტობდი, ცოლი კი მომყავს, მაგრამ, ამ წლოვანებაში, ვერ ვხვდები, რა დანიშნულება აქვს ცოლს-მეთქი. ძმაკაცებმა იხუმრეს, სულ ცოტა ხანში მიხვდებითო. მე კი უკვე ვიცოდი, რომ ეს ცოტა ხანი სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდებოდა. იმათ რომ გაიქილიკეს, ისე ვერ გამოვიდა. ალბათ იმიტომ, რომ იგი ღმერთმა მიბოძა და არა ვილაცამ. ხოლო როცა ჩემს არჩილსა და ნინოს აქეთ-იქიდან ხელჩაკიდებული ჩემი გოგონა საბავშვო ბაღში მიჰყავდათ, კიდეც ერთხელ გამახსენდა დედის გამოცხადება სიზმარში. ბავშვების დედის სახიანი ანგელოზი და თეთრწვეროსანი. ბედნიერმა ცას ავხვდე, სადაც მტრედები ნავარდობდნენ.

**თითქოს წისარტყელა ქალაქის ხილია, და ზედ სიყვარული მცევნებად ჰქილია.**


**ჩემი ოცნების ქალაქი**

მოდი, იმ ქალაქს გაუძარჯოს, სადაც წვიმაც კი გეფურება, ისეთი სიყვარულით გიყურებენ, იმ ქვეყნად წასვლა გეძნელება. ალბათ, ჰირი შეჰკრეს ერთმანეთთან იამ, უოჩივარდამ, ენძელებმა, ქვეყნად ერთადერთი ქალაქია, სადაც არავინ გემტყრება. თითქოს წისარტყელა ქალაქის ხილია და ზედ სიყვარული მტევნებად ჰქილია. რა გულსატკეპნია ზოგნი რომ მიდიან, რას იხამ, ასეა, ოდითგან ბინდია, ბინდია... ბინდია... ალბათ, ამაშიც რაღაცა სიბლია. ცოტაც დასცადეთ ჩვენს ქალაქს - ბიჭებო, და - ჩვენს თბილ ნაკვალევზე ახლები ივლიან.

**წერილი გზას რთულს**

ექვანიობა ჩაბარდა წარსულს, შენ ჰგავხარ მზის და ვარსკვლავის ნათლულს, ზე სიყვარულის ჰანგებში გართულს. ბრავო, გაუძელ ცხოვრებას გზას რთულს. ბოღმის და გესლის მორევი ჩაფლულს ნუთუ მივწვდები შენს სულის სართულს, უნაწეს გრძნობით ზეცაში ასულს. მოვწევიტავ უტკებეს და ნანატრ ნაყოფს, დავეწაფები ბაგეთა წალკოტს. ო, როგორ მსურს ვუთხრა მზის ნათლულს, რომ ვერაფერი შეედრება სიყვარულს ქართულს.





# ნაშრომ ამახდნენ ქართულ კინოს „ნაჭვიდეს“ და როგორი კულისარი იყო კოტე დაუშვილი


**კოტე დაუშვილი** — ეს სახელი და გვარი ქართული თეატრისა და კინოს ისტორიაში გამორჩეულ ადგილს იკავებს.

„ნატვრის ხე“, „ვინ შეკაზმავს ცხენს?“ „ზღვის შვილები“, „ხევსურული ბალადა“, „შეხვედრამთაში, — ეს იმ ფილმების არასრული სიაა, რომელშიც მსახიობმა მონაწილეობა მიიღო. მისი შემოქმედების სავიზიტო ბარათი ციციკორეა „ნატვრის ხიდან“. თვითონ არასდროს უყურებდა ფილმებს, სადაც მონაწილეობდა, რადგან საკუთარი თავი ეკრანზე არასდროს მოსწონდა.

სამართლიანი, ალალი, მიმნდობი და ბავშვით გულუბრყვილო - ასეთი იყო მსახიობი, მოჭიდავეს ძალაც ერჩოდა და ჩხუბშიც ხშირად მონაწილეობდა. სწორედ ერთ-ერთი ჩხუბის კვალი ეტყობოდა სახეზე — წარბი გაუტეხავს და ეს დალი მას მთელი ცხოვრება ამ უსიამოვნო შემთხვევას ახსენებდა.

მსახიობი ბაქოში დაიბადა, თბილისში გაიზარდა და აქ ეზიარა კინოსა და თეატრის ჯადოსნურ სამყაროს, მისი შვილი უკვე წლებია საქართველოდან წასულია და გერმანიაში ცხოვრობს.

კოტე დაუშვილი ხელოვნების მიმართ ინტერესს ბავშვობიდან ავლენდა და დასთან ერთად მხატვრობით იყო გატაცებული. საბოლოოდ მისი და ამ პროფესიას გაჰყვა, სხვადასხვა გამომცემლობებში წიგნების ილუსტრაციებზე მუშაობდა, კოტემ კი მსახიობობა გადაწყვიტა. მსახიობობა პირველი სკოლაში სცადა, სადაც დრამწრემი დადიოდა. 18 წლის იყო, როცა სხვადასხვა სპექტაკლებში ინვედნენ და ისიც უდიდესი სიამოვნებით თამაშობდა. პირველი თეატრი, სადაც მისი სამსახიობო ნათლობა შედგა, წითელი არმიის ქართული თეატრი იყო. სამი წლის განმავლობაში მან





დაუვინყარი დღეები გაატარა და უდიდესი გამოცდილება შეიძინა. პირველი პროფესიული სკოლა კოტე დაუშვილმა რეჟისორ შოთა მანაგაძესთან გაიარა, რომელიც წითელი არმიის ქართული თეატრის ხელმძღვანელი იყო.

მარჯანიშვილის თეატრში მსახიობი სრულიად ახალგაზრდა, 22 წლის ასაკში მოხვდა. თეატრის ერთ-ერთი ვარსკვლავი უშანგი ჩხეიძე ავად გახდა და ის სხვადასხვა სპექტაკლში კოლეგებმა შეცვალეს. დაუბლიორ მსახიობთა შორის აღმოჩნდა კოტე დაუშვილიც. ამ თეატრში მსახიობი პირადად კოტე მარჯანიშვილმა მიიწვია და რამდენიმე წელი იქ იმუშავა. თეატრთან ერთად მსახიობის ცხოვრებაში კინოც შემოიჭრა. მისი პირველი სადებიუტო ფილმი იყო „უდაბნო“, რასაც მოყვა მაყურებლისთვის საყვარელი ფილმები, მთლიანობაში კოტე დაუშვილმა 50-მდე ფილმში მიიღო მონაწილეობა. კინოთი გატაცება მსახიობს ძვირი დაუჯდა. თეატრში ისარგებლეს კოტე მარჯანიშვილის მოსკოვში მუშაობით და რეპეტიციების გაცდენის მიზეზით მსახიობი თეატრიდან გაუშვეს. თბილისში დაბრუნებულმა კოტე მარჯანიშვილმა მაშინვე მოიკითხა მსახიობი და როცა რეალური მიზეზი გაიგო, თეატრის ხელმძღვანელობას მისი თეატრში დაბრუნება მოსთხოვა. კოტე დაუშვილი




თეატრში ნამდვილად დააბრუნეს, მაგრამ კოტე მარჯანიშვილის გარდაცვალების შემდეგ, ისევ დაითხოვეს.

მსახიობის ცხოვრების შემდეგი ეტაპი ბაქოსთან არის დაკავშირებული, სადაც ქართულ თეატრში იმუშავა. მონატრებამ თავისი ქნა და საყვარელი საქმით აქტიურად დაკავებულმა კოტე დაუშვილმა უარი თქვა ყველაფერზე და სამშობლოში დაბრუნდა. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, მან მუშაობა კინოსტუდიაში დაიწყო, თუმცა მეგობრები და მეუღლე დაჟინებით სთხოვდნენ თეატრს დაბრუნებოდა. მართალია მსახიობს ეს არ უნდოდა, მაგრამ მათ თხოვნას ანგარიში გაუწია და მარჯანიშვილის თეატრში მივიდა.


კოტე დაუშვილმა საბოლოო არჩევანი კინოზე გააკეთა და თეატრზე სამუდამოდ უარი განაცხადა. მსახიობი სიცოცხლის ბოლომდე ქართული კინოს ერთგული დარჩა და შექმნა ისეთი სახეები, რომელთა დავინყება პრაქტიკულად შეუძლებელია.

მიუხედავად ამისა, კოტე დაუშვილს კიდევ ერთხელ მოუწია თეატრის სცენაზე დადგომა და სპექტაკლში ითამაშა, რომელიც პიესის „წინაპართა მინა“ მიხედვით იყო დადგმული. მოგვიანებით მსა-





# მსახიობი



ხიობმა ამავე სახელწოდების ფილმშიც მიიღო მონაწილეობა, რომელიც მისთვის უკანასკნელი აღმოჩნდა.



პირველად მსახიობი 23 წლის ასაკში დაქორწინდა. მისი მეუღლე ქეთევან თავ-თაქიშვილი იყო. წყვილს ერთი შვილი შეეძინა, ჯანგირი, პროფესიით სამხედრო ინჟინერი. მეორედ კოტე დაუშვილი ქეთევან კეთილაძეზე დაქორწინდა.


მასთანაც ერთი შვილი ეყოლა, გივი.

კეთილი, მეგობრული და ადამიანთა მოყვარული - ასე ახასითებენ მას კოლეგები, მასთან დაახლოებულ ადამიანებს კარგად ახსოვთ მისი მასპინძლობა. სახლის სარდაფში მარანი მოაწყო, ღვინო დაწურა, არაყი და კონიაკი გამოხადა, რომელსაც თავისი სახელისა და გვარის პირველი ასოების გამოყენებით „კადე“ დაარქვა, სპეციალური ზარიც ჰქონდა, როცა დარეკავდა, სტუმრებისთვის ზემოდან მისი მეუღლისა და ოჯახის წევრებს ჯამ-ჭურჭელი და კერძები ჩაჰქონდათ.

## თენგიზ არჩვაძე იხსენებს:

„როცა ხევსურეთში ფილმებს „ხევსურული ბალადა“ და „შეხვედრა მთაში“ ვიღებდით, კოტეს ვერავინ არჩევდა ხევსურებისაგან. გადაიცვამდა იმათ ტანსაცმელს, ახოვანი ისედაც იყო, მოახტებოდა უბელო ცხენს და დააჭენებდა. სიყვარულით ყველას „მამუკას“ გვეძახდა, ასე მამაშვილურად გვეფერებოდა. ჩვენც, მასზე უმცროსები, ასეთივე სიყვარულით მივმართავდით. ხომ ასეთი ახოვანი და ბრგე იყო, ისეთი ჩვილი გული ჰქონდა, პატარა რამეზე ცრემლი მოადგებოდა. სხვათა შორის, ჩობან-ყაურმა მისგან ვისწავლე, მთაში ვიყავით გადაღებაზე და გვითხრა, თბილისიდან სტუმრები ჩამოდიან და კარგად მოვემზადოთ. მართალაც ბიძინა კვერნაძე და პეტრე გრუზინსკი გვესტუმრნენ. ღვინის შოვნა მე დამავალა, თვითონ კი ცხვარი დაკლა, მერე მისივე ტყავში დაჭრილი ხორცი, მწვანილი და ხახვი შეახვია, ნაკვერჩხლიან ორმოში ჩადო და რამდენიმე წუთში ჩობან-ყაურმა გვაჭამა.“

წარმოშობით შქმერიდან იყო, კარგა ხნის ურთიერთობის მერე გავუთამამდი და ვეხუმრებოდი, რაჭაში სამი რამე მოდის და ხარობს, კარტოფილი, მოჭიდავეები და არტისტები-მეთქი, კინოსტუდიაში ხუმრობით „რაჭ-ფილმი“ შევქმენით, რომლის




წევრებიც გახლდათ: ალე ომიადე, კოტე დაუშვილი, ოთარ კობერიძე, ზურაბ ქაფიანიძე და მე. პირველი ქორწინებიდან ერთი ვაჟი ჰყავდა, ჯანგირი, ფიზიკოსი გახლდათ, მეორე ცოლთანაც ვაჟი შეეძინა, გივი. უსაზღვროდ უყვარდა თავისი შვილები, მეორე მეუღლე, ქეთევანი რომ გარდაეცვალა, ძალიან განიცადა. მერე თვითონაც ავარიში მოყვა, ფეხი მოიტეხა. კარგა ხანს მკურნალობდნენ. ერთბაშად მოტყდა, ეტყობოდა, ქეთევანის წასვლამაც იმოქმედა ასე მძიმედ, თორემ ავარია და ფეხის ტკივილი რას დააკლებდა?! 72 წლის გარდაიცვალა.



# ჯიმი სხირტლაძის უკანასკნელი გზა

ბარდაიცივალა რაჭის კოლორიტი, ყოველი ოჯახის სასურველი სტუმარი, მოსწრავალი სიტყვა-პასუხითა და განუმეორებელი იუმორით დაჯილდოებული, საუკეთესო მამობარი, ზრუნვითა და მამა და მამულა, მთელი რაჭის სათაყვანო ადამიანი **ჯიმი სხირტლაძე**.

**ვწახვართ, რომ ბატონი ჯიმი უკვე წარსულის ბინადარია. სათელ-საკმეველი არ მოჰკლავოდეს მის ნათელ სულს.**



ამონარიდი წიგნიდან „13-13“

გუბიაძალმა რომ გალახის ღეროთი ჩამგერა, იმის შემდეგ აღარ გავწუმებულვარ

რიცხვ-13-ისადმი შიში ადამიანებს ოდითგანვე მოსდევს. ვინმე მეტიჩარას რომ უთხრა ჩვენი მოქარგული ქართულით, ვისი მეცამეტე გოჭი ხარო, თორმეტჯერ ან თოთხმეტჯერ გაგანწავს სილას.

აი, გენერალ-მაიორ, მწერალ ჯიმი სხირტლაძისათვის ყველაფერი პირიქით იყო. „13“ მისთვის ბედნიერი რიცხვია, რადგან ცამეტ რიცხვში იყო დაბადებული ისიც და მისი მეუღლეც. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ცამეტჯერ გადაურჩა სიკვდილს, თვეში ცამეტჯერ ირჩევდნენ სუფრის თამადად. ცამეტ სადღეგრძელოს სვამს და ჩაის ჭიქით, მისი განსხვავებული სასმისი ცამეტჭიქიანი ყანწი იყო, მანქანის ნომერშიც „13“ ერთია, ხოლო ბინის ტელეფონში — ორგზის „13“. ნატრობდა იმ დროს, ცამეტი წლის რომ იყო და სწუხდა, რომ უკვე 73 გადააბიჯა. თუმცა შემდგომში ცამეტი წიგნის გამოცემას აპირებდა. სწორედ ამის გამო დაარქვა მწერალმა, ჯიმი სხირტლაძემ თავის წიგნს „ცამეტი... ცამეტი“.

ბატონი ჯიმი 1936 წლის 13 ივლისს თერმეტ საათზე საქართველოს ულამაზეს კუთხეში, რაჭის მაღალმთიან სოფელ მთისკალთაში დაიბადა. 13 წუთი ხმა არ ამოუღია, გაკვირვებული შესცქეროდა სამყაროს, ბებია ქალმა ანიჩკამ თურმე გამხმარი ბალახით ჩაბერა, მერე ხელი შემოჰკრა და „იმის შემდეგ აღარ გავჩუმებულვარო“... იხსენებდა ბატონი ჯიმი.

სწორედ, რომ არ გაჩუმებულა და ღმერთმა აქტიური ცხოვრება მისცა, იგი მიუხედავად თავისი განსხვავებული პროფესიისა, ძალიან კარგად წერდა. მისი ნაშრომი გამოირჩევა სიმარტივეთა და ორიგინალურობით, ფაქტების საინტერესო ასახვითა და აზრის ლაკონურობით, მხატვრულობითა და მჭევრმეტყველობით. ბატონი ჯიმი პატარაობიდანვე ნიჭითა და სწავლულობით გამოირჩეოდა. პირველ კლასში შესვლისას მას წერა-კითხვა და ასის ფარგლებში დათვლა საკმაოდ კარგად

სცოდნია. თურმე სომხურსაც საუკეთესოდ ფლობდა. ლექსებიც სცოდნია სომხურ ენაზე. ჯიმის სწავლა-აღზრდაზე დიდი გავლენა მოუხდენია მამიდას და ლიზა ბებოს, რომელიც ფრიად განვითარებული, გონებაგახსნილი, ტკბილმოუბარი და როგორც სოფელში ამბობენ, ჭკუასაკითხავი ქალი ყოფილა. იგი ადრინადა დაქვრივებული და ვაჟკაცურად უძღვებოდა დიდ ოჯახს. მას სამი შვილი დარჩა. ბატონი ჯიმი სწუხდა, რომ ბაბუის შესახებ ბევრი არაფერი იცოდა, მხოლოდ მისი ფიზიკური ძალისა და კაცურ-კაცობის შესახებ უყვებოდნენ. ამ სიძლიერეს კი გენეტიკურად თავის ძმის, შოთა სხირტლაძისა და ვაჟის, დათუნა სხირტლაძის პიროვნებებში ხედავდა. „**მე უფრო მეტად სუფრის თამადისა და მოლხენის გენით დამაჯილდოვა ბუნებამ, ბაბუასავით**“, — წერდა იგი.

ლიზა ბებოს გონიერებაზე კი ბევრს იხსენებდა ავტორი, თურმე ლოცვები და საეკლესიო რიტუალებიც „სადღთო წიგნიდან“ ბებოს უსწავლებია. იგი არიგებდა შვილიშვილს: „სიტყვა ენის წვერიდან არ მოგწყდეს, ჯერ გონებაში გაატარე, გაიაზრე და მერე გამოუშვი პირიდანო!“,


ლიზა ბებო ოჯახურ ტრაგედიას შეეწირა. სახლს ცეცხლი გაუჩნდა, დაინვა და მწუხარებისაგან ოჯახის დედას ელდა ეცა, ტვინში სისხლი ჩაექცა და გარდაიცვალა. საოცარია ბატონი ჯიმის ხელწერა, ამ ყოველივეს ისეთი მხატვრული ოსტატობით აღწერს, მკითხველი ფაქტის თანამონაწილე ხდება და ცრემლსაც ვერ იკავებს.

ოჯახურმა მდგომარეობამ შეცვალა პატარა ჯიმის ცხოვრების მიმართულება და ავლაბრის სკოლაში რომ უნდა ესწავლა, უცბად მრავალძლის დაწყებით სკოლაში აღმოჩნდა. სოფლის ცხოვრებით ცხოვრობდა, უყვარდა თხილამურებითა და ციგით სრიალი. ეს პროცესი სამამულო ომის დასრულებამდე გრძელდებოდა, შემდეგ იგი ქალაქში წაიყვანეს და სწავლა განაგრძო თბილისის ვაჟთა მე-20 საშუალო სკოლაში, სადაც სოფლიდან ჩამოსულ ბიჭს ახალი





# კოლორიტი



გარემოსთვის ფეხის ანყობა ცოტა გაუჭირდა, თავიდან ორიანიც კი გამომყვაო, იხსენებდა იგი, მაგრამ შემდეგ ყველაფერი კარგად იყო. სკოლა ვერცხლის მედალზე დაამთავრა. იგი ეუფლებოდა ცეკვას, ვარჯიშობდა თავისუფალ ჭიდაობაში. თავიდან ექიმობა სდომებია, მაგრამ მოხდა ისე, რომ თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ბატონი ჯიმი აქაც გამოირჩეოდა სწავლითა და გონიერებით, მაგრამ შემდეგ მისი ჩანაფიქრი შეიცვალა და გადაწყვიტა სწავლა თბილისის საარტილერიო სასწავლებელში გაეგრძელებინა. გამოცდები წარმატებით ჩააბარა, აქაც მედალმა უშველა და სამხედრო რეჟიმით ცხოვრება დაიწყო.

თუმცა პოლიტექნიკური ინსტიტუტი მისი ცხოვრების ბედის სამჭედლოს თანამონაწილე გახდა, აქ გაიცნო მისი მომავალი მეუღლე, ულამაზესი ქალბატონი ციური დემეტრაშვილი, მათი გაცნობის სცენა მისივე წიგნში შთამბეჭდავად არის აღწერილი. აღმოჩნდა, რომ ბატონი ჯიმი პირველივე დანახვით მოხიბლულა მომავალი მეუღლის სილამაზითა და თავდაჭერილობით. „როცა მეგონა, რომ ჩემი ენაჭარტალობით 15 წუთში ჩიტს ხიდან ჩამოვადგებდი, ამ გოგონასთან სულ დავმუნჯდი“, იხსენებს ბატონი ჯიმი. ეს სიმუნჯე კი მომავალი სიყვარულის საწინდარი გახდა. მათ შექმნეს ულამაზესი ოჯახი. შეეძინათ ორი შვილი, ხათუნა და დათუნა. დათუნას უცხოელი მეუღლე ჰყავს, მაგრამ ხუთი შვილი აჩუქა

სხირტლაძეების ოჯახს, ხოლო ხათუნა კი ერთი შვილის დედაა. თუმცა ბედნიერი მამა თავს ინონებს შვილის წარმატებებით და თავის წიგნში საინტერესოდ აღწერს მის შემოქმედებით წინსვლას. იგი სტომატოლოგია. განათლება მოსკოვში მიიღო, კარგად იცის ენები: ინგლისური და რუსული.

ბატონი ჯიმი ოთხგზის ე.წ. „გაი“-ს უფროსი, რესპუბლიკის ავტონისპექციის ერთ-ერთი სამმართველოს უფროსის მოადგილე და მთელი 35 წლიანი მოღვაწეობის მრავალი წარმატების შემოქმედი გახლდათ. დიახ, 35 წელი ერთგულად ნატარებ სამხედრო ფორმას და სამხრეებს სინანულით გამოემშვიდობა, მაგრამ მომავალ თაობას დაუტოვა სიბრძნე უკვე მრავალგზის გამოცდილი და დამტკიცებული: „იყვნენ პრინციპულები და სამართლიანები, თავის ხალხისა და ქვეყნის წინაშე, მაგრამ არასოდეს დაავინყდეთ, რომ მორალი ზოგჯერ დაწერილ კანონზე მაღლა დგას“.

სამწუხაროდ, ბატონი ჯიმი სამხედრო სამხრეებთან ერთად დაემშვიდობა თავის ოჯახს, ახლობლებს, სიცოცხლეს და მისმა სულმა უკვდავების საუფლოში დაიღო ბინა.

აფერუმ, ჯიმი, თქვენს პიროვნებას, აგრერიგად შეუყვარდე ხალხს, როგორც თქვენ ეს მოახერხეთ, ადვილი არ არის. მშვიდობა და ნათელი თქვენს სულს.

## ჭიმი სხიხტრადის ყაჰმო ქყარი ამბები

...

ცოლი გადამეკიდა, ქუთაისში წელიე გასაყიდად კაკალიო (იმ წელს ბევრი მოვიდა). მე ვუთხარი:

— ქალო შეხედე ე ღორს, ნახევარი საათი ჭყივის და კივის, წვალობს, ვერ გაუტეხია ე კაკალი და ამას ქვე ვინ იყიდის.

— მერე ხო გვაქვს თხელნაჭუჭიანი, ის შეურიე და წელიე.

გავბრიყვდი და წავიდე. ბაზარში ვდგავარ და ამბროლაურელი ურიუკა შემოვიდა. რაჭულიაო?

— მკითხა. ორი ცალი ამოიღო, მოიგდო მუჭში, მოუჭირა ხელი... ორივემ ტკაცანი გაადინა. მსხვილი ლებნები ხელისგულზე დარჩა (მე თვითონ გამიკვირდა).

— ბევრი გაქვს ასეთი?

— ეს არის თქვა, ვაჩვენე ტომარა.

— ამინონე სულ, აქავე ვცხოვრობ, წავიღებ ტომარას, დაგიცლი და მოგიტან.

— არა, შენი ჭირიმე, ქვე ტომარაზე შეგანუხებ?

— ერთი სული მქონდა გავმძვრალიყავი ბაზრიდან.

ერთი თვის შემდეგ ცოლი შემიჩნდა, სიმინდი წაიღე და გაყიდე ბაზარშიო. წევიღე და სულის

კანკალი მქონდა, ი ურიას არსად გადავყროდი. მარა ბედი არ გინდა კაცს?

სულ ბაზრის კარისაკენ ვიციქირობოდი. აგერ არ შემოვიდა ეს ღმერთგამწყრალი? დამინახა თუ არა, პირი ვიბრუნე მეორე მხარეზე, მომიარა იქედან, ახლა აქეთ შევტრიალდი.

— ბევრს რო ტრიალებ, მალაქია არა ხარ?

— მალაქია ვარ, რაშია საქმე?

— რაში და რო დაგექცა და ამოგივარდა ოჯახი.

შენ არ მამყიდე კაკალი?

— მე მოგყიდე და შე კაცო, კაკლის გულისთვის მწყევლი და მლანძღავ ასე?

— კაკლის გულისთვის კი არა, შუშაბანდში სტეკლო არ დაგვრჩა არსად. ი. კაკლის მტვრევაში დავლენეთ ყველაფერი.

...

რაჭველს აბაზიანი ჩაუვარდა კარის ღრიჭოში, აილო ასმანეთიანი და ისიც იქ ჩააგდო.

— რა ქენი, კაცო? — გაუკვირდა მეზობელს.

— აბა, ქვე აბაზიანისთვის აყვარო პოლის ფიცარი?



# ბოჩა ენუქიძე მაღალმთიანი რეგიონების განვითარების კანონის შესახებ



რთულია იმსჯელო პოლიტიკაზე და გააკეთო ანალიზი, იმ დროს როცა არ ხარ კომპეტენტური, თუმცა ის, რომ საქართველო ორ ათეულ წელზე მეტია უკვე მთლიანად პოლიტიზირებულია, უდამ ფაქტია. ჩვენს ქვეყანაში დღეს საზომადონების ნებისმიერი ფენისა თუ კატეგორიის თავშეყრის ადგილზე პოლიტიკური სჯა-ბაასი იმართება, ვინ ვისი მადლიერია და ვინ ვისი უმადური, ვერ განიგებ, ფაქტი ერთია, ჩვენს კუთხეს, რაჭას მაღალმთიანეთში მოედო კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“, რომლის ძირითადი არსი რაჭის განვითარებისათვის მათად მნიშვნელოვანია.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ინტერვიუ ვთხოვე ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარ დეპუტატს ბატონ ბოჩა ენუქიძეს, რომელიც დანერგვით გვიამბობს თუ რა სარგებლობას მოგვითანს მთის კანონი და როგორ შეუნყოფს ხელს იგი რაჭაში მიგრაციის შეჩერებას.

**— ბატონო გოჩა, მოვესალმებით. თქვენი იტერვიუ დარწმუნებული ვარ ჩვენი კუთხის ნებისმიერი გულშემატკივარისთვის მეტად საინტერესო იქნება. მოკლედ გვიაგბეთ, რას გულისხმობს კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ და რა დანიშნულება ექნება ამ კანონის მიხედვით შექმნილ „მთის განვითარების ეროვნულ საბჭოს“, რომლის წევრიც თავად ბრძანდებით.**

— ბოლო წლებში განხორციელებულ ბევრ მნიშვნელოვან რეფორმასთან და პროექტთან ერთად გამოვყოფდი გასულ საგაზაფხულო სესიაზე მიღებულ კანონს „საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“, რომლის დანიშნულებაც არის, დაადგინოს შეღავათები საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური

პროგრესის უზრუნველსაყოფად. წარმოებული პოლიტიკა მიმართულია მაღალმთიან რეგიონში მცხოვრებ პირთა კეთილდღეობის, ცხოვრების დონის ამაღლების, დასაქმების ხელშეწყობის, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. ამ კანონის თანახმად შეიქმნა „მთის განვითარების ეროვნული საბჭო“, რომლის წევრიც მე გახლავართ, ამ საბჭოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ხელმძღვანელობდა, მასთან და აღმასრულებელი ხელისუფლების, შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად აქტიურად მიმდინარეობს მაღალმთიანი რეგიონების განვითარებისთვის მსჯელობა და შესაბამისი პროგრამების განხორციელება.

**— აღნიშნული კანონი როგორ იმოქმედებს მიგრაციაზე?**





# ტრიბუნა



— ურბანიზაციის პროცესის გათვალისწინებით, ისევე როგორც საქართველოს ყველა რეგიონში რაჭაშიც შეინიშნება ადგილობრივი მოსახლეობის კლება, დემოგრაფიულ საკითხს რა თქმა უნდა ერთ-ერთ ძირითად პრობლემად გამოვყოფდი. რისი შეჩერებისკენ გადადგმული ნაბიჯია „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ კანონის მიღება და ამოქმედება, რაც იმედია პერმანენტულად გამოიღებს შედეგს და მისცემს სტიმულს მთის მოსახლეს - რაჭველ კაცს დაუბრუნდეს მშობლიურ კუთხეს და ხელი მიჰყოს სოფლის მეურნეობას, მეცხოველეობას და ადგილობრივ მრეწველობას.

**— უშუალოდ რაში მდომარეობს კანონის არსი და როგორ აისახება იგი სოციალურ თუ საგადასახადო სფეროზე? რა სახის შედეგადაც შეიძლება ველოდეთ?**

— ამ კანონის დანიშნულება არის, დაადგინოს შედეგადაც საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად.

სახელმწიფოს მიერ მაღალმთიანი რეგიონების მიმართ წარმოებული პოლიტიკა მიმართულია მაღალმთიანი რეგიონში მცხოვრებ პირთა კეთილდღეობის, ცხოვრების დონის ამაღლების, დასაქმების ხელშეწყობის, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ.

ზღვის დონიდან შესაბამისი სიმაღლის მიუხედავად, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი ენიჭება რაჭას (მათ შორის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მქონე ქალაქ ამბროლაურს), ზოგადად მაღალმთიან დასახლებად ითვლება დასახლება, რომელიც მდებარეობს ზღვის დონიდან 1500 მეტრის სიმაღლეზე ან მის ზევით, მაგრამ მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭა საქართველოს რამდენიმე ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეს - მათ შორის მთლიანად რაჭას, რაც პარლამენტის, მთავრობის და სამხარეო ადმინისტრაციის ერთობლივი დამსახურებაა.

**რაც შეეხება კანონით გათვალისწინებულ შედეგებს, რომელიც ამოქმედდება 2016 წლის 1 იანვრიდან, მდგომარეობს შემდეგში:**

- ◆ კანონის ამოქმედების შემდეგ დაბადებულ პირველ და მეორე ბავშვზე, ერთი წლის განმავლობაში ყოველთვიური 100 ლარიანი დახმარება, მესამე და შემდგომ ბავშვზე 200 ლარიანი დახმარება 2 წლის განმავლობაში;
- ◆ ხელფასის სახით მიღებული 6000 ლარამდე შემოსავალი თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან სამუდამოდ;
- ◆ მენარმე ფიზიკური პირები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისაგან 10 წლის

ვადით;

- ◆ სანარმოები ქონებისა და მოგების გადასახადებისგან თავისუფლდებიან 10 წლის ვადით;
- ◆ 10 წლის მანძილზე საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლდებიან მთაში მუდმივად მცხოვრები პირები;
- ◆ მთაში მუდმივად მცხოვრები პირების საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი სამუდამოდ თავისუფლდება ქონების გადასახადისაგან;
- ◆ სკოლებზე და მაღალმთიან რეგიონებში მდებარე პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე მოხდება ვაუჩერის გაზრდა.
- ◆ ექიმებისათვის დანამატი სახელმწიფო პენსიის ორმაგი ოდენობით, ხოლო ექთნებისათვის - სახელმწიფო პენსიის (ერთმაგი) ოდენობით;
- ◆ სახელმწიფო პენსიაზე და სოციალური პაკეტის მიმღები პირებისათვის დანამატი 20 % ის ოდენობით;
- ◆ ზამთრის პერიოდში გათბობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
- ◆ სკოლის და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლებისთვის სახელფასო დანამატი არანაკლებ 35 % ის ოდენობით;
- ◆ საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს პროგრამებში მონაწილე მასწავლებლებზე გათვალისწინებული იქნება დამატებითი ანაზღაურება ხელფასის არანაკლებ 50 % ის ოდენობით.

2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება კანონი ელექტროენერგიის ხარჯების 50 % - ის ანაზღაურების შესახებ.

**— რაც შეეხება მუდმივად მცხოვრები ფიზიკური პირისათვის სტატუსის მინიჭებას ვინ განსაზღვრავს მას და რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს პიროვნება, რომ აღნიშნული სტატუსი მოიპოვოს?**

— ფიზიკური პირისთვის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი. ეს უფლებამოსილება არის მუნიციპალიტეტისათვის სახელმწიფოს მიერ დელეგირებული და მასზე დარგობრივი ზედამხედველობის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი



# ჯეორგიანი ქიტიანი



გიორგი ენუქიძე

თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, რომელსაც ახორციელებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

**ფიზიკურ პირს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი ენიჭება, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:**

- ◆ აქვს საქართველოს მოქალაქეობა;
- ◆ რეგისტრირებულია მაღალმთიან დასახლებაში;
- ◆ ყოველი კალენდარული წლის განმავლობაში, ჯამში 9 თვე ან მეტი ვადით ფაქტობრივად ცხოვრობს მაღალმთიან დასახლებაში.
- ◆ **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:**
- ◆ მუდმივად მცხოვრები პირის გარდაცვალება;
- ◆ რეგისტრაციის მისამართის შეცვლა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირი რეგისტრირდება სხვა მაღალმთიან დასახლებაში;
- ◆ პირის მიერ მაღალმთიანი დასახლების დატოვება;
- ◆ საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა.
- ◆ პირი მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსს ინარჩუნებს მაღალმთიანი დასახლების გარკვეული ვადით მკურნალობის ან სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის მიზნით დატოვების შემთხვევაში ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებისას.

მასალა მოამზადა  
**ინფორმაციის ცენტრი**



სოფელი ქორა. ხელოსანი გოგია რეხვიაშვილი (სეხნონთი) 1962 წელი.  
სპარტაკ რეხვიაშვილის ფოტო


თითქმის ყოველ ზაფხულს არდადეგებს ქორაში ვატარებდით, ჩვენი მახარობლიანთ უბნის უკეთილშობილეს ხალხთან ერთად. არასდროს დამავინწყდება ეს ბევრის მომსწრე და მნახველი, მუხლჩაუხრელი, კეთილმოსურნე, მშრომელი ადამიანები: მჭედლები, განთქმული მთიბავები, მონადირეები, დურგლები, ხელოსნები, მქსოველები, მწყემსები, თვითნასწავლი ინჟინერ-გამომგონებლებიც კი. ისინი გამოირჩეოდნენ: ზრდილობით, ურთიერთდაფასებით, შრომით, სტუმარ-მასპინძლობით, ურთიერთ თანადგომით.

**გოგია რეხვიაშვილი (სეხნონთი)**— თვითნასწავლი ინჟინერ-გამომგონებელი, უბადლო მთიბავი და განთქმული მჭედელი, 5 შვილის მამა, სანდო და კეთილშობილ მეუღლენიურასთან ერთად მუხლჩაუხრელად შრომობდა, მისი სამჭედლო გაჭირვების ტალკვესი იყო თითოეული ქორელისათვის. მათ ღირსეული შვილები და შვილიშვილები აღზარდეს. მისი ვაჟი ალექსანდრე რეხვიაშვილის დამზადებული ნივთები მრავალ ოჯახს ამშვენებს, მამისეული ნიჭით





## მოჰიკანები



ემზარ რევკვაშვილი (სეხნონენი)

დაჯილდოებული ალე ხეზე კვეთის, ჩუქურთმების უბადლო ოსტატია.

**მარგალიტა ემნაძე-რევკვაშვილი (სეხნონენი)** გარეგნობით მომხიბვლელი, ტანმალალი ქალი იყო, სოფლის სკოლაში დაწყებით კლასებს ასწავლიდა, ქვემო რაჭის სოფ. ტბეთიდან ჭიორაში გათხოვდა. საოცარი იუმორის ნიჭით დაჯილდოებული, ამავე დროს გამრჯე და შრომისმოყვარე, მან პირველმა ჭიორის მკაცრი კლიმატის მიუხედავად, მოისურვა რომ სახლის წინ ბაღჩაში გაემრავლებინა ათასნაირი ყვავილები და განახორციელა კიდეც. შემდეგ კი ყვავილების თესლით მთელ სოფელს ამარაგებდა. სასახელო შვილი




მარგალიტა ემნაძე-რევკვაშვილი

აღზარდა — ემზარი დღესაც ონსა და ჭიორაში ცხოვრობს. წელიწადის მეტ დროს სოფელში ატარებს. სასახელო დედის დანატოვარ ოჯახს დატრიალებს და ჭიშკარს ბოქლომს არ ადებს. ღმერთმა უმრავლოს რაჭას-ჭიორას ემზარ რევკვაშვილის (სეხნონენი) მსგავსი პატრიოტები.

**ჭიორელი ლევანტო ჩაგელიშვილი (ფოცხვერენენი)** მე-XIX ს-ში მეზატონე ჯაფარიძეების წინააღმდეგ თავისუფლების მოპოვებისათვის ქედუხრელ მებრძოლთა შთამომავალი იყო. მუხლჩაუხრელი მთიბელი-ლევანტო მოძმე კავკასიელ მთიელთა რამოდენიმე ენას ფლობდა. აქტიურ მონაწილეობას იღებდა კავკასიელ მთიელთა ხალხურ სპორტულ შეჯიბრებებში.

**რუსუდან (მანო) რეხვიანაშვილი.**



მეცხვარე ლევანტო ჩაგელიშვილი (ფოცხვერენენი) სოფელი ჭიორა, კვირაცხოვლის წმინდა ხეების კორომებს შორის 1959 წელი. სპარტაკ რევკვაშვილის ფოტო



# თამარ მასწავლებლის კლასი

## უზეობამ დანისლა



„ხშირად მებადება კითხვა: — ვინ არის ადამიანი?“ — ადამიანი სხვისთვის გარჯილი სულიერია! დიახ, თავისთავს ყველა იცავს, ყველა უელის, ყველა ზრუნავს საკუთარ თავზე, მაგრამ სხვებზე?! — სხვებზე ცოტანი ფიქრობენ, სხვებზე ზრუნვა რჩეულთა ხვედრია! დიდი ენერჯის, დიდი სულის ადამიანები ზრუნავენ სხვათათვის, ისინი, ვინც თავის თავს, თავის საქმეს ემეტებიან — აღემატებიან, ამის ერთ-ერთი და თითქმის ერთადერთი მაგალითი და სახე დღევანდელ დღეებში შენ იყავი, ჩვენო შრომით და გარჯით დაუღლელ — გაუჩერებელი და გაუჩუმებელი თამარ მასწავლებელი — „შენ ძველი მოდის ახალი ქალო და ძველი ქალო ახალ — მოდისა!“ — (როგორც ევტუშენკო ამბობს ჰემინგუეზე). უშორესი წარსულიდან მოდიოდი ზღვა ცოდნით, სიკეთით და სიუხვით ივსებოდა და ავსებდი ჩვენი სამშობლოს „ოქროს წინილებს“ — მუწხს ამეტყველებდი და უქნარას გამრჯედ აქცევდი... I-კლასი — ეს ხომ ყველაზე რთულია სასწავლებლად და საურთიერთოდ — უცოდინარი, წესრიგს და გარემოს მიუჩვეველი, ჩამოუყალიბებელი, ურჩი და უყაირათო ბავშვების ამოძრავება, ყალიბში ჩამოსხმა, სწორად ამეტყველება ხომ ურთულესი საქმეა?! — და თქვენ ამას ისე ოსტატურად, დახვეწილად, ბუნებრივად და გაბედულად აკეთებდით, რომ კაცს ეგონებოდა თითქოს ნავარჯიშევ და განვრთნილ ბავშვებს რეპეტიციის შემდეგ ფილმს უღებენო. „ბოლო მოჰიკანი“ იყავი იმ დიდი თაობის პედაგოგ-მასწავლებლებისა ვის დანახვაზეც მოსწავლეები რიდით, კრძალვით-სიყვარულით და შიშითაც იმსჭვალებოდნენ... უქნარას და უზრდელს, უცოდინარს და უწესრიგოს ვერც სკოლაში იტანდი და ვერც სკოლის გარეთ. ყველას მიმთითებელი იყავი. არ გერიდებოდა უტიფართა განსწავლის, რადგან წარსულიც სუფთა გქონდა და აწმყოც... პირში წყალს არ იგუბებდი ვიღაცის და რაღაცის შიშით, მლიქვნელობა და ყველაფერზე თვალის დახუჭვა, არწყენინების პოლიტიკა და უსამართლობა, რაც სასოფლო და საქვეყნო საქმეს აზარალებდა — შენი ხელობა არ იყო... შენ და რამდენიმე პედაგოგი იყავით ბოლო 25 წლის მანძილზე, ვინც ახალი სახელმწიფოს სისუსტეს და




ეკონომიურ უძლურებას გაგებით ეკიდებოდით და ზოგიერთებით გამგებელს არ აბრალებდით მანეთის და კუპონის ინფლაციას, მერე კი 7 ლარიანი ხელფასის დაგვიანებით გაცემას, მე კი — თქვენი და თქვენნაირების დაჯილდოებას მოვითხოვდი ყველა მთავრობისგან, მაგრამ, ამოდ... ბოლოს კი დრომ და შემთხვევამ მოიტანა და სამჯერ შემომთავაზა განუმეორებელმა გამგებელმა ვალერიან გავაშელმა — „ღირსების ორდენით“ დაჯილდოება, სამჯერავე ერთი და იგივე პასუხი მიიღო ჩემგან: — „ჩემზე ღირსეული ხალხი ჰყავს ღებს დასაჯილდოებელი და თუ ჩემი პატივისცემა გინდა ის პიროვნება დააჯილდოვე-მეთქი!“ — და ვაკომ, მესამე ჯერზე თამარ ლობჯანიძის და მიშა ბოხაშვილის სახელები ჩაინერა და კიდევ დააჯილდოვა ეს ბუმბერაზი პედაგოგები სახელოვანმა ვაჟკაცმა, მე ამით უზედნიერესი ადამიანი გავხდი. აქ, საზოგადოებაში საშუალო ადამიანები სჭარბობენ და თუ გამორჩეულებიც მათში ავურიეთ, ნახდება ცხოვრება...

თამარ მასწავლებელი — შენ ხომ მხოლოდ პედაგოგი არ იყავი, შენ ინტელიგენტი მინის მუშა იყავი, შენთვის პრანჭიაობა და უკადრისობა მდაბალთა საქმიანობა — უცხო იყო, შენი დიდი შრომისაგან მამაკაცის ხელებს დამსგავსებული ტორებით, 80 წელს მიახლოებული ადამიანი შესაშური ენერჯით მუშაობდი შენს თუ სხვის ყანაში, შენთვის აუტანელი იყო მარტოხელას





# გზა ნათლისაკენ



და ავადმყოფის გაჭირვებაში მიტოვება, ამ ხნის ადამიანი, ჩვენოდენ მეურნეობას ეწეოდი, ყანა-ველს ყველაზე ადრე ფურჩქინი და სისხამ დილით, ზამთარ-ზაფხულს ფაქიზად ჩაცმულ-დახურული ყოველთვის ახერხებდი 5 წუთით ადრე სკოლაში გამოცხადებას... უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა გქონდა, სამაგალითო იყო შენი გაკვეთილის ჩატარების მეთოდი, არ იზარებდი ახალგაზრდა და არაპროფესიონალი პედაგოგების დახმარებას და რჩევის მიცემას.

— თამარ მასწავლებლო! — შენ სოფლისა და სკოლის დედა-ბოძი იყავი, შენი სისპეტაკით, შრომისმოყვარეობით, პირდაპირობით, უანგარო გამჭირიანობით, ცეცხლივით გიზგიზა — ყველასთვის სიტბოს გადამცემი, მადლიანი, შემართებული, მონესრიგებული და მუდამ ფორმაში მყოფი იმედით აღავსებდი გვერდითმყოფთ გულღიაობა და არსენობა შენი ხელობა იყო. წყენას არავის უმაღავდი, ჩაგრულს იცავდი, თითქმის არ ყოფილა შემთხვევა, რომ შენს ოჯახს სტუმრისთვის შინ თუ გარეთ პატივი არ ეცეს... გიყვარდა კარგი ადამიანები და საქვეყნოდ აღიარებდი მათ სიკეთეს.

— თამარ მასწავლებლო! — სახელიც რა დიდებული დაგანათლათ მაღალმა ღმერთმა?! — „თამარი! — ეს სახელი ყველა ქართველისთვის ხომ წმინდათაწმინდა, მზესთან, მთვარესთან სინდისთან, ნამუსთან, სათნოებასთან, სიკეთესთან და ათას ქალურ ღირსებასთან არის გაიგივებული

და სიკეთის სინონიმად ქცეული! ასეთი ხარ შენ, იმ დიდი თამარის შორეულო მოსახელევე და მონათესავე, შენ ხელ-ფეხზე და ენაზე ბორკილდადებული ქალი იყავი. „ვინც არ ჰგავდა კახაბერსა, არ სახავდი კახაბერად“ — გქონდა თვალი და უმზერდი, გქონდა ენა და ამბობდი... შენისთანებს სხვა ქვეყნებში სიცოცხლეშივე დაუდგამდნენ ძეგლს, მაგრამ ქართველებმა არ ვიცით სიცოცხლეში ადამიანის სათანადოდ დაფასება... ჩვენ, სამწუხაროდ უტიფარს და ამპარტავანს უფრო ვადიდებთ და ვემონებთ, რატომღაც...

ჩემი მოკრძალებული თხოვნაა, ვისაც ეს შეუძლია და ევალევა, 1-ლი კლასის კარებზე დაიკიდოს აბრა ნარნერი — „თამარის კლასი“, — ეს ძალიან ცოტაა ამ დიდებული ქალისთვის, მაგრამ საჭირო და სამაგალითოა მომავლისათვის.

თამარ მასწავლებლო! თქვენ უდაოდ უფრო შორს და უფრო მაღლა ნახვიდოდით ბედისგან და ცხოვრებისგან, რომ უფრო მეტი და სხვანაირი — ხელშეწყობა გქონოდათ... მაგრამ ესეც საკმარისია, რაც თქვენ შეძელით და შექმენით. — წმინდა სული, მაღალი ზნეობა, დიდი უნარი სიკეთის ქმნისა, ეს ყველაფერი საკმარისია, რომ შენი სიცოცხლე, რომელიც აქ, დედამინაზე მიინავლა, სხვა უკეთეს სამოთხის დარ პლანეტაზე აენთოს...

ვეფხისტყაოსნის ავტორი

## თამარ მასწავლებელს

„დედა-ბოძი ნაქეცა  
ლების სკოლას და ლებს, —  
„ჩვენი დამრიგებელი“  
სხვა კლასის კარს ალებს,

თამარ ქალიც იყავი  
და მათა წყნეთელიც...  
ვისთვის — „დედა ტერეზა“,  
ვისთვის — რკინის კედელი.

შენ ბავშვები კი არა  
ცხოვრება გაანათე.  
შენი ყოფა მინაზე  
ნამდვილად გაამართლე.

მიდის ხმალშემართული  
ქალი, მაგრამ, არსენა!  
მუნჯის ენის მცოდნე და  
ერთი არა! — ას ენა!

„დედა-ენას“ ძერწავდი  
„დედა-ენით“ ჰგალობდი,  
შენი პატარებისთვის  
ბუღბუღივით გალობდი.

ძეგლი, ძეგლი გეკუთვნის  
ამაგიან ქალისა, —  
ერთი ბრინჯაოსი და  
მეორე კი — კალმისა.

მიდის ნაჭარმაგალი  
ვით მებრძოლი მხედარი,  
არა სული ლაჩარი,  
მშიშარა და დედალი...

ქალური სამკაული  
ადრე როცა ღვიოდა,  
გატირებდი გზარავდი  
ნარსულში რომ ცვიოდა.

\*\*\*  
თამარ-ქალო ცარგვალო  
უმზეობამ დანისლა,  
„კიდევ დაიზრდებიან“...  
— იმედი გვაქვს ხვალისა.

დიდი თამარ ქალობით  
მიგვდის დამშვენებული,  
ზღვა ქალური სიმდიდრე  
თან მიჰყვება მდებარული.

თავი არ გიტანჯია  
პირს წყალის ჩაყენებით,  
ულირსი გიკენწლია  
კიცხვა-გამოჭენებით...

ვეფხისტყაოსნის ავტორი



# სახანძარი, ჩოხაფიქრი დახანძარი შურობადაცხად საჭირბოვებს!

ცხოვრების აუცილებლობა გვკარნახობს, რომ რაჭა-ლეჩხუმი მშრომელი ხალხის, დამსვენებლების და საექსკურსიო-ტურიზმის ზონებად დაიყოს, სადაც ერთ-ერთ წამყვან როლს შეასრულებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტი მისი გზაჯვარედინზე ცენტრალური მდებარეობის გამო.

ამბროლაური საშუალო ადგილია ნიკორწმინდის ტაძრის, ბარაკონის ეკლესიის და მინდაციხის, ზემოკრიხის ეკლესიის და კვირაციხეს შორის. ამბროლაურიდან ამ ძეგლების მონახულება ძალიან მოხერხებულია არა მარტო ავტომანქანით, არამედ ეტლით, ცხენით (მომავალში ეტლებსა და ცხენებზედაც უნდა ვიფიქროთ, ტურისტთა მსგავსი მომსახურების — შეკაზმული ცხენებით ლეჩხუმში უკვე იწერება).

კრიხულასთან ერთად დასვენებისა და საექსკურსიო ტურიზმის ზონად უნდა გამოცხადდეს შარეულას ხეობა, სადაც სასურველია აღდგეს ჭელიშის ისტორიული მონასტერი.

შარეულას შესართავთან, რიონის ხეობაში, მოგზაურს ანციფერებს საირმის გადასასვლელის სვეტებად აღმართული კირქვოვანი კლდეები, სადაც XIX საუკუნეში უდაბნოს მონასტერი იყო. თვით სოფელი საირმე ეთნოგრაფიულ ნაკრძალად გამოცხადების ღირსია, შესანიშნავი სახლებითა და კარ-მიდამოებით, შრამელ-ბურულებით, ეზო-ჭიშკრებით, თიხის ქვისა და ხის დამუშავების ხელოვნებით.

ზედა საირმეს გვირგვინად ადგას ლაბეჭინის მშვენიერი ტაძარი, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილის აღწერით, მრავალ ეროვნულ რელიკვიას და სიძველეს ინახავდა. უგზობის გამო ტაძართან მისვლა ამჟამად ფრიად გაძნელებულია, ასევე მოვლას და ყურადღებას

მოითხოვს ქვედა ჟოშხას XIII საუკუნის დარბაზული ეკლესია.

არამცთუ მოხსენიების, ქება-დიდების ღირსია პატარა ონის, ტბეთის, ბუგეულის, ბარეულის, ქედისუბნის, ზნაკვის ციხეები და ეკლესიები, კლდისუბნის კლდეკარი — ნერწეტი კომპეტით, ქვაბთკარი, ჯერ ალურიცხავი და დაუთვლელი მრავალი ეთნოგრაფიული თუ ბუნების ძეგლი თვით მცირე ხეორის ხეობაში უხვი სანახაობაა. მარტო ქორთის ეკლესიის წმინდა ხეების კორომი რად ღირს, ბოყვის ეკლესია, ნყაროები, თამარ დედოფლის, კლდე, განძთსამალაგები და სახიზაროები, ქვაგახეთქილას კანიონი, უშოლთის მღვიმე, მრავალძლის წმინდა გიორგის ეკლესია, რომლის გადასახედიდან მთელი რაჭა ხელისგულივით მოსჩანს. „დაბინდულ ქლიავისფერ მთებს“ სირმასავით შემოვლება „საიმერეთოს გზა“, შქმერელი ჩალანდრები იმერეთს მიმავალ მგზავრებს ამ გზაზე ცხენებით აცილებდნენ. ეს მარშრუტი ტურისტებისთვის რომ აღდგეს — ულამაზესია, ჯრუჭის სახელგანთქმული მონასტრით და საჩხერის რაიონის სხვა ღირსშესანიშნაობით გვირგვინდება, ვინ იტყვის უარს ცხენით ჯადოსნური სამყაროს გავლისა?

სოფელ შქმერის შემოგარენი ხომ საზამთრო-სათხილამურო ბაზის მოსაწყობად საუკეთესოა, იგი ბაკურიანსა და გუდაურს არაფრით ჩამოუვარდება.

ალარას ვამბობ ჯეჯორის, ქვედრულას, ჭანჭახის, ღარულას, საკაურას, სონტარულას, ბარეულას, ლუხუნის და სხვა ხეობებზე. რაჭაში ხომ ყველა მდინარეს საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, განუმეორებელი სილამაზე აქვს. სანაპირონი ბუნებისა ისტორიული ძეგლებითაა შემკობილი. თვით სოფლებიც თავიანთი განლაგებით,



# ეთნოგრაფია



კოპნია ეზო-კარმიდამოთი, სახლებით, შრამელ-ბურულეებით ხომ ხელთუქმნელი ძეგლებია, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში სოფელი არ არის, რომელიც მშრომელთა დასვენების კერად და ტურისტთა თვალსაწიერად არ გამოდგეს. მარტო ონის რაიონში — ქრისტესი, ხირხონისი, ბაჯიხევი — ხის ძეგლებით მოგებული შუკებით, ლუნდა, სორგითი, ჩორდი — ჩუქურთმებით ამღერებული ოდა-სახლებით, ჯოისუბანი, სევა ძველთაძველი ეკლესია-მონასტრებით და მრავალი ნაციხვარ-ნაკოშკარით. ასევე შარდომეთი და ფარახეთი — მესტვირეთა საბუდრები, რომელი ერთი ჩამოვთვალო. რაჭა სამოთხეა, სამოთხე, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს.



ლევან ფრუიძის ნიბნია

## მეკვლეს ფენოქანი

ზოგადად ახალი წელი კარგი საშუალებაა „ძველის დასავიწყებლად და ახალი ცხოვრების დასაწყებად“ პირობითი ზღვარი რომ გაავლო. ამიტომ ყველა ცდილობს, ახალი წლის დღეებში ცუდზე ნაკლები იფიქროს და კამპანიისთვის ისეთი ადამიანები შეარჩიოს, ვისთანაც თავს ყველაზე კარგად იგრძნობს.

გარდა ამისა ახალი წელი ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი დღესასწაულია და მისი მთავარი ხიბლიც ისაა, რომ უკლებლივ ყველა ოჯახში აღინიშნება. ტრადიციულად, ამ დღესასწაულის შინაარსიც სწორედ რამდენიმე სუფრის შემოვლასა და ახლობელი ოჯახების მილოცვა-დალოცვაში მდგომარეობს, რაც გარკვეული წესრიგის დამყარებას მოითხოვს.

წესრიგი კი მარტივად მყარდება, ტრადიციების მიმდევარი ადამიანები ღამის 12 საათს საკუთარ ტერქვემ, საკუთარი ოჯახის წევრებთან ხვდებიან, რის შემდეგაც წინასწარ შეთანხმებული მიმოსვლა იწყება. თუმცა მანამდე მეკვლეობის მნიშვნელოვანი რიტუალია ჩასატარებელი.

მეკვლეობა, სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციიდან იღებს სათავეს. სტუმრის მიღება, ტრადიციულად, ოჯახის ღირსებად ითვლება და ქართველ კაცსაც უჩნდება პრეტენზია - ეს ღირსება ახალ წლის პირველ ნუთებშივე დაიცვას. მეკვლე, პირველ ყოვლისა, სტუმარს ნიშნავს და ოჯახის წევრის გარეთ გასეირნება და უკან

შემობრუნება მეკვლეობად არ ითვლება.

**ელგუჯა იოსელიანი, ეთნოგრაფი:** „თვითონ სიტყვის შინაარსიდან გამომდინარე, მეკვლემ ოჯახისკენ მიმავალი გზა უნდა გაკვალოს. თუმცა კვალიც არის და კვალიც, და ეს კვალი, პირველ რიგში, „ფეხზე“ დამოკიდებული.“

ქართველი კაცი, უცხო ოჯახში რომ შედის, კეთილი იყოს ჩემი ფეხიო -ამბობს. უცხო ფეხის შემოდგმას ოჯახში სიმბოლური დატვირთვა აქვს და „კეთილი და ბოროტი“ ფეხის ცრურწმენა ჩვენში მხოლოდ ახალ წელს არ უკავშირდება. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ღირსეულ ოჯახს სტუმრისთვის კარი ყოველთვის ღია უნდა ჰქონდეს, საახალწლო სტუმარს არა რაღაც „სასურველი“, არამედ აუცილებელი სტატუსი ენიჭება. ამისთვის კი ეს საკითხი წინასწარ უნდა მოაგვარო.

საერთოდ, მეკვლეს ძველ საქართველოში წინასწარ ირჩევდნენ. პირველ რიგში, ის ოჯახის ახლობელი და სასურველი სტუმარი უნდა ყოფილიყო. ეს ტრადიცია დღესაც შენარჩუნებულია. მაგრამ ისეთებიც არიან, ცხოვრებაში კაცისთვის არაფერი რომ არ უწყენინებიათ, მაგრამ მათი სტუმრობა თუ უბრალო დანახვა ვიღაც-ვიღაცებს ცუდად აქვთ დაცდილი. მეკვლედ, რა თქნა უნდა, ასეთ ადამიანს არ დაპატიჟებ.

**„შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი - კვალი ანგელოზისა“, ასეთია მეკვლის დალოცვა.**



# ეს იყო წინათ...

## ის, რაც არ უნდა დაიკარგოს!



რაჭა, ამბროლაური, დარაბიანი დუქნები, სადაც ხელოსნები იყრიდნენ თავს: მჭედელი თავის სამჭედლოთი, ნალბანდი, მეთუნუქე, მექვაბე, მკალავი და ზეინკალი; ოქრომჭედელი, ჭონი, მეჩექმე, ხარაზი, თერძი, დერციკი, მექუდე, მქარგავი, მეავეჯე, ხარატი, მიაკვნი-მეკუბოე, მეთუნუქე—მეჭურჭლე, შარაგულის ოსტატი—მეკალათე, დალაქი და ა.შ.

ეს იყო წინათ... რაჭულ ნაჯახს, ნალდს, თოხს, წერაქვს, ნამგალს, სადურგლო და სახცენ-სახამაცო ხელსახმარს ბადალი არ მოეპოვებოდა, არც გარეგნული დახვეწილობით და არც ფოლადის ფხა-სიმტკიცით. არადა ეს უძველესი ტრადიცია გაქრობის პირასაა, თუ დროულად არ დავეპატრონეთ, სამუდამოდ დაიკარგება. ასევე სავალალო მდგომარეობაშია, ქვის, თიხის, ტყავის, ქსოვილის და სხვათა ხალხური,

მხატვრული დამუშავება.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ჩვენს ქართულ ტანსაცმელს და ფეხსაცმელს ყავლი ჯერ არ გასვლია, გნებავთ მექორწილე წყვილის შესამოსად და გნებავთ ფოლკლორული ანსამბლებისათვის. ამის გარდა ურიგო არ იქნება თუ წარსულის კადრებს დროდადრო გავაცოცხლებთ და ტრადიციული სამოსითაც შევიმოსებით.

საგულისხმოა ისიც, რომ რაჭულ სოფელს ჯერ კიდევ სჭირდება ნალბანდი, ხარი და ცხენი მეურნემ იმიტომაც მოიძულა, რომ ნალ-ლურსმნისათვის თერჯოლაში ან ზესტაფონში უნდა წავიდეს: მეთუნუქე და მკალავი ქუთაისში მოძებნოს, ღუმელი და ჭრაქიც იქვე შეიძინოს.

რაჭა-ლეჩხუმის საზღვარზე მდებარე სოფელ საირმის განთქმული მეთუნუქეობის ძველთაძველი კერა ჩაქრა, ონქალაქში სერგო მაჩაიძის მიერ





# ეთნოგრაფია




გამოცდილება დასავინწყებლად გასწირონ. მოხუცებს ჯერ კიდევ ახსოვთ ჩვენებური სახარატო დაზგა, ტყეში მდინარის ძალით რომ ამუშავებდნენ, გობებს, ხელგობებს, ფიალებს, ჯამებს და სხვა მისთანებს ახარატებდნენ. სოფლად არ არსებობს ოჯახი, რომელსაც ეს ჭურჭელი არ სჭირდებოდა. ყველაფერს ცხადია პლასტმასი და მეტალი ვერ შეცვლის. ამასთან, მრავალ-



დაარსებული კერამიკული საამქრო გაუქმდა, რაჭის მკვიდრთ თიხის ეროვნული ჭურჭელი სანატრელი გაუხდათ.

ნაცადი ხის მერქანი და თიხის კეცი, თავისებურ სილამაზესთან ერთად სრულიად უწყინარია.

რა შეედრება მდინარის პირას ჩადგმულ დოლაბებიან ნისქვილს, რომელსაც ანკარა მდინარის ჩქერი ანაზდად აბრუნებს და „გემოშენარჩუნებულ, ზეთშეუშრობელ“ ფქვილს აწვდის მენისქვილეს. განა ტყუილად ამბობენ სად წყლის ძალით დაფქული და სად დენით დამწვარი, მოკლული ფქვილიო?



**რაჭული მარანი** — ხორგო სანახელით, ნბერით, ჭურებით. მარანი მოქმედია, როცა ყურძენს ფეხით დანურავენ და ღვინოს ხალხური წესით დააყენებენ.

თონე შემით უნდა გახურდეს, ქართული წესის თანახმად მეპურე გახურებულ, ნალვერდიან თონეში ეკიდება და პურს აცხობს. ეს ერთგვარი ეგზოტიკაა.

იქვე, შორიახლოს საბძელ-ბოსელია განთავსებული თავის კევრით, კაბლოთი, არნადით, სახენელობით, ურმებით, მარხილებით, ძარჩელტებით, გოდრებით, მიდლებით და ა.შ.

**ლევან ფრუიძე**

ადგილობრივი ორიგინალური თვითმყოფადი ავეჯი უცხოელ მოგზაურთა დამსახურებულ აღტაცებას იწვევდა. მისი ბევრი ნიმუში პრაქტიკულად ახლაც გამოსაყენებელია, ის ინტერიერს განუმეორებელ, ეროვნულ, კოლორიტულ ელფერს აძლევს. საბედნიეროდ, ჯერ კიდევ გვყავს ხის შთამომავლობით მხატვრულად დამუშავების ნამდვილი ჯადოქრები, რომელთაც ასპარეზი არ მოეპოვებათ, ან „კერძო ხელოსნის“ დამლით უნდა „იჯახირონ“, ანდა შინაგან მონოდებას თავი მიანებონ და თაობიდან თაობას გადასაცემი სისხლიან საუკუნეებს გადარჩენილ წინაპართა ცოდნა-





# სოფლაზე - ქაღალდის მანქანა, როგორც მანქანა

„დავჩლუნგდით, დავბეჩავდით...  
ღირსნი აღარ ვართ  
ღვთისშვილებად ვინოდებოდეთ“  
/გრიგოლ რობაქიძე/

სადღესოდ სოფელთა კვდომის სინდრომი შეუფერებლად მიმდინარეობს რაჭაში. სამწუხაროდ, ამ დაავადების მიმართ „აქიმიობა“ არავისგან იგრძნობა. ისმის კითხვა: - რატომ არის თვითდინებით მიშვეებული ასეთი მწვავე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრობლემა? ნუთუ ისეთია ჩვენი მხარე, რომ მას არ გააჩნია თანამედროვე, ცივილიზებული ცხოვრების განვითარების პერსპექტივა? იბადება ეჭვი, რატომ ხდება მსოფლიოში სწორუპოვარი საღვთო ისტორიული კულტურული არეალი ასეთი კატასტროფის ობიექტი? ვინ არის ამით დაინტერესებული და როგორ ვუნყოფთ მას ჩვენი უნიათობით ხელს? ედენას საღვთო კულტურულ მემკვიდრეობას დღემდე ეძებენ მსოფლიოს წამყვანი სამეცნიერო ცენტრები. დღეს ყველა მეცნიერული არგუმენტები გაგვანჩნია იმის დასამტკიცებლად, რომ ედენა ჩვენთანაა. მთა და მყინვარი ედენას სახელწოდებით, რაჭაში, რიონის სათავეშია! [მწვერვალის სიმაღლე - 3951 მეტრი და მყინვარის ფართი 5 კვ.კმ.]. როგორც მსოფლიო მეცნიერებისაგან დადგენილია, ბიბლიაში ებრაელთაგან დარქმეული „ედემი“ მომდინარეობს შუმერული „ედენა“-საგან. ედენა - საკაცობრიო საღვთო კულტურის ისტორიის საწყისი წერტილია და ასეთი სწორუპოვარი მაღლიერი სიმდიდრის ჩვენს სინამდვილეში არსებობის დადასტურება, ღვთის დიდი განძია, რომელსაც გაცნობიერება და გამოყენება სჭირდება. წარმოვიდგინოთ ეს გააჩნდეთ სხვებს, მაგალითად, სომხებს ან ებრაელებს, როგორ შესძლებდნენ ისინი ამის რეალიზებას, თავის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის!.. ჩვენთან კი რა ხდება? ყოველგვარ უმეცრებაში ვამყოფებით ხალხს და მუშაობს უმეცრების მანქანა, რომელიც აყვყევებს ერს. ამის დასტურია ის „მეცნიერული“ შედეგები, რომელიც „გვასწავლის“:-  
 დები - „ამოღებულს ნიშნავსო“; ჭიორა - „მწიორს“ (მწირს); გლოლა - დაქანებულს;

უნერა - აღუნერელს; შქმერი - შქერს, (მცენარის სახელს), ბარი - ბარს ანუ დაბლობს; ფუტიეთი - ფუტუროს; სხუვავა - „სხვა ჰავას“, ამბროლაური - ამბროლა ურიას; ურავი - ურას თუ „ვამას“? და ასე შემდეგ. მსაგავსი მაგალითების ჩამოთვლა ყველა სოფელზე დაუსრულებლად შეიძლება. აქვე უნდა მოვიყვანოთ ჩვენი ეროვნული ლიდერის, ზვიად გამსახურდიას სიტყვები: - „თუ მეცნიერება - თავია საზოგადოებისა, რელიგია - გულია მისი. როდესაც მტერი ჩვენს მოსპობას ცდილობს, თავში ან გულში გვიმიზნებს ტყვიას. იმპერიული ანტიქრისტეს ხელისუფლება სწორედ ჩვენი თავისა და გულის განადგურებას ცდილობდა და არცთუ უშედეგოდ.“ ანტიღვთიურ კომუნისტურ პერიოდში კატა-ძალივით დაპირისპირებული მეცნიერება და რელიგია დღეს სიამის ტყუპებივით არიან შეკავშირებულნი და ერთად აგრძელებენ ერის ცნობიერების დაბნელებას. ამ მოვლენამ, დაგვაკარგინა იმ ფასეულობის მიმართ მემკვიდრეობის გრძნობა, რაც წინაპრებმა დაგიტოვეს. ეს იგრძნობა ყველა სფეროში, განათლებაში, კულტურაში, რელიგიაში, ფოლკლორში, პოეზიაში და სხვა. საოცარია, როცა ცნობილი ებრაელი პოეტი - დანიელ ხახიაშვილი (ან გარდაცვლილი) სირღმისეული რელიგიური ცოდნით აღნიშნავს ისრაელში დანერგულ ლექსში „ფუტიეთი“ ჩვენს ეროვნულ საღვთო ისტორიულ განძს და როგორ ეფერება თავისი სტრიქონებით:

### ფუტიეთი

ფუტიეთი, ფუტიეთი,  
 რა ახლოა ცა და ღმერთი!  
 სილამაზე სხვა ასეთი,  
 არ მინახავს მე არცერთი!  
 აქ არწივის გინდა ფრთები,  
 რომ დაიპერო ცა და მთები!  
 სულ ჩანჩქერთა სმაურია,  
 სულ ყვავილთა შარი-მური!





## პრობლემა



თავზე ხან მზე გასურია,  
 ხან ნისლეების თავსაბურია!  
 ნეტავ ვინც აქ დაიბადა  
 და სიცოცხლის გახდა ღირსი!  
 გადასწიეთ ღრუბლის ფარდა,  
 ნახეთ ღმერთთა საბრძანისი!  
 ანგელოზთა თვალი გხედავს,  
 ახლოს არის ცა და ღმერთი!  
 თუნდ უბრალო გლეხი გერქვას,  
 მეფეც ხარ და ჰრესიდენტიც!  
 ფუტიეთი, ფუტიეთი,  
 სამოთხისკენ გასასვლელი!..

ფოლკლორს გადამწყვეტი ადგილი უჭირავს ერის სულიერ ცხოვრებაში. საოცარია, როცა ფოლკლორის ეროვნული ცენტრის ფესტივალზე, ამბროლაურში, ფუსტელთა სკოლა-მუზეუმის ხალხური მართლმადიდებლური ფოლკლორის დამაარსებლის, პოეტისა და ფოლკლორისტი, გიული შალიკაშვილის მიერ, სრულიად ახალი ხალხური ფოლკლორული მიმართულება საღვთო ეროვნული კულტურის ისტორიიდან იქნა წარდგენილი ხალხურ საკრავებზე შესრულებით, რომელშიც სრული ისტორიული სინამდვილით იქნა ასახული ედენას საღვთო კულტურული ზონის სოფლები: - ღები, ჭიორა, გლოლა, უნერა, ბარი, საკაო, ფუტიეთი, სხუვადა და სხვა. და აქ, ჟიურის რეაგირება იყო სრულიად უსახური, რაც იმის მაუწყებელია, რომ საკაცობრიო ფასდაუდებელ ჩვენს ეროვნულ საღვთო ფოლკლორს ჩვენ ვერ შევიგრძნობთ, რა თქმა უნდა, იმ ფონზე, როცა იმღერება: - „ერთი ჰყავს და ორი უნდა,“ „მოკლე კაბა რომ ჩაცვავენ...“, „ათი შეყვარებული ჰყავს...“!!! სად ჩანს აქ ედენას სწორუპოვარი, საკაცობრიო მნიშვნელობის ეთნოფსიქოლოგია? ასეთ შემთხვევაში, ჩვენი ფოლკლორული ცნობიერება წინაპართა ამ მემკვიდრეობას ვერ ჩანვდება. თუ ჩვენ რა განძის პატრონები ვართ, ამას ვერ ვაცნობიერებთ, ჩვენ გარდუვალად მივდივართ სულხან-საბას „მინაში ჩაფლული ოქროს“ იგავამდე. რაც აუცილებელი ეროვნული კატასტროფის გზაა. ამ ხუთი წლის წინ სოფელ ფუტიეთში მოხდა იშვიათი მოვლენა, თბილისიდან ოჯახი დაბრუნდა სოფელში საცხოვრებლად მთელი შემადგენლობით. ბაბუა, ბებია, შვილი, რძალი და მცირეწლოვანი შვილიშვილი - სალომე. მაგრამ ბალის ასაკის მიღწევისთანავე ოჯახი პრობლემის წინაშე დადგა და შვილი და რძალი ბავშვთან ერთად

გადავიდნენ ამბროლაურში და იქირავეს ბინა, რათა მცირეწლოვან სალომეს ბაღში ევლო. მომავალი წლიდან სკოლა უნევს. ეს მაშინ, როცა მისი ბებია დაწყებითი სკოლის პედაგოგია და როგორც ვიცით, არსებობს განათლების სამინისტროს დადგენილება, ერთი ბავშვიც რომ იყოს სოფელში სკოლის გახსნის თაობაზე. ეს ხომ იქნებოდა სტიმული სხვა ქალაქში მყოფი ოჯახებისათვის. ზაფხულობით მოსული ახალგაზრდობის ქმედებაც დიდი ეროვნული პრობლემაა. უაზრო ღამისთევა, უმიზნო ღრეობა და დღისით ძილი... და მრავალი უმსგავსოება... განა ასეთად აღზრდილი ახალგაზრდობა მოუბრუნდება და განაახლებს სოფლებს?... და ამაზე არავითარი რეაგირება არავისაგან და მათ შორის ეკლესიისაგანაც. ეს ახალგაზრდები უკლებლივ თითქმის ყველა „ეკლესიურია“, ჰყავთ „მოძღვარი“ და ყველანი ვითომდა „მრევლია“. რა არის გამოსავალი ჩვენი აზრით? პირველ რიგში ჩვენ უნდა გავიაზროთ ის უნიკალური და მსოფლიოში სწორუპოვარი ისტორიული საღვთო კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც ჩვენს მხარეს გააჩნია, ედენას მემკვიდრეობის სახით. პირველ რიგში უნდა ჩატარდეს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, მსოფლიოს წამყვანი სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენელთა მონაწილეობით, რათა მსოფლიოს ვაჩვენოთ ეს საღვთო კულტურა. ფუსტელთა სკოლა-მუზეუმის ბაზაზე უნდა შეიქმნას საერთაშორისო საღვთო-სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრი, ედენას მემკვიდრეობის პრაქტიკული რეალიზებისათვის. მითუმეტეს, საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციებით ინფორმირებულია ამით დაინტერესებული მსოფლიოს წამყვანი სამეცნიერო ორგანიზაციები. ფოლკლორის კუთხით ჩვენ ვცდილობთ მრევლში აღვადგინოთ ისტორიული ეთნოცნობიერებითი თვითშეგნება ედენას საღვთო კულტურაზე. ნიმუშისათვის, ორ მაგალითს მოგიყვანთ, იმ სასიძლო ლექსებიდან რაც სოფლებზე, ზემო რაჭიდან ღებზე და ქვემო რაჭიდან სხვაგანზე არსებობს.

### ღები

ღები - ედენას პატრონი,  
 მუინვართა ძირში ღაღობსა!  
 სწორედ აქ არის ადგილი,  
 სადაც ადამი სახლობდა!  
 ადამურის სამყოფით,  
 მთანი გვიხმობენ ახლოსა!



# პრობლემა




აქ ვლანდავთ ედენ-სამოთხეს,-  
აღამის ჰირველ სამყოფს!  
ღებ-გიორგობას ვლოცულობთ,  
წმინდა გიორგის სახითა!

დედაღვთისასაც ვადიდებთ  
„დურ-ან-ქის“ კოშკის მადლითა!  
გველის მოწვდილი ვაძლითა,  
გვაცლევინებენ ედემსა!  
მაგრამ მოწვდილი საცდურნი,  
ჩვენში ვერ ჰპოვებს გველფურსა!

## სსუვავა

სსუვავა, „სსვა ჰავას“ არ ნიშნავს,  
თავი დავისხნათ ბანჯიდან!  
სსუვავა - ედენას კარიბჭე,-  
ლომ კვარაცხის ბანიდან!  
წმინდა კედრების მცველობა,-  
ედენას ტევრში რგებია!  
მელამებს სტეორცნის გილგამეშს,  
წმინდა ედენას მცველია!  
ფუსტის და კვარას ღვთიურ არსს,  
უუვლიდეთ ყფლის მადლითა!  
წმინდა ანასტა გვასხენებს:-  
გვევლოს წინაპართ კვალითა!

სანიშნოდ ეს ორი სოფელი გაგაცანით, მაშინ, როცა თითქმის ყველა სოფლის საღვთო კულტურის ისტორია შესწავლას და გამომზეურებას საჭიროებს. აქედან გამომდინარე, ედენას საღვთო კულტურის გამომზეურება და შემდგომ მისი რეალიზება მოითხოვს მეცნიერულ, საგანმანათლებლო და კულტურულ საორგანიზაციო მუშაობას, რომლის წარმართვაში სახელისუფლოსთან ერთად წამყვანი როლი უნდა შეასრულოს ეკლესიამ და განსაკუთრებით, იმ ეპარქიებმა, რომელიც ედენას ისტორიულ გეოგრაფიულ რეგიონში შედიან. ესენია: - მესტიისა და ზემო სვანეთის, ლენტეხისა და ცაგერის, ნიკორწმინდის ეპარქია. აღნიშნული ისტორიული მემკვიდრეობა სათანადო ღონისძიებებით შესაძლებლობას იძლევა დაცლილი და გაპარტახებულ სოფლებს კვლავ დაუბრუნდეს სათანადო განათლების და უნარჩვევების ახალგაზრდობა და თავიდან ავიცილოთ ამ უნიკალური რეგიონის გასხვისების სამომავლო მზაკვრული გეგმა, რაც დიდი ეროვნული კატასტროფის თავიდან აცილების ერთადერთი გზაა.



eden ზედა მხარე, ველი

ამ სურათზე წარმოდგენილია მსოფლიოს წამყვანი სამეცნიერო ცენტრების ვარაუდი ედენას (ედემის) მდებარეობისა, რომელიც მცდარად მიჩნეულია თურქეთში მდებარე ურარტუს ისტორიული ტერიტორია.



ადამ და ევას ისტორია განუყრელად არის დაკავშირებული ედენას გეოგრაფიულ არეალთან. ამიტომ ჩვენი რეგიონის სიმბოლო ღვინის ბოთლი კი არა, ადამ და ევას მონუმენტი უნდა იყოს..

## მამა ავთანდილ გიორგოპიანი

სოფელ ფუტიეთში არსებული ფუსტელთა სკოლა-მუზეუმის წინამძღვარი; ფაზისის აკადემიის რაჭის ორგანიზაციის თავმჯდომარე; თბოფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი; გიული შალიკაშვილი

სოფელ ფუტიეთში არსებული ფუსტელთა სკოლა-მუზეუმის ხალხური მართლმადიდებლური ფოლკლორის „ედენა“-ს დამფუძნებელი; პოეტი, ხატმწერი, ფოლკლორისტი; საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი; ფაზისის აკადემიის წამდვილი წევრი.





მოგზაურობისას

# ჩაი, ჩაი დაპალეპინეთ, თუ ღებრთი გნაპთ!

## შოში ჩაბელიშვილის შოშონაზაჰი

რაჭაში მივდივარ, ვტკბები საქართველოს ბუნების სილამაზით. ტყიბულში შევჩერდი. ამოდ ვეძებდი რესტორანს. „რესტორანი ვისთვის გვინდა, ხალხს ფული არა აქვს, გაჭირვებულია“, — მეუბნება იაფფასიანი სასადილოს მზარეული კაცი, რომელიც მიმტანიცაა, გამყიდველიც და მეპატრონეც.

ცარიელი ქუჩები, გაპარტახებული, მცხოვრებლებისგან მიტოვებული სახლები — მკვდარი ქალაქი.

ნაქერალას წვერზე მანქანა გავაჩერე, გადმოვხედე აზვირთებულ მთებს. რა ლამაზი ხარ, საქართველო!

ნიკორწმინდის ეკლესიამ გამილო რაჭის კარები. დავენაფე უცხოეთში მონატრებულ აქაურ წყალს.

მეგობართან ერთად მივადექი ნათესავის ჩაკეტილ სახლს. საზაფხულოდ სტუმრების მომლოდინე ეზო გავაცოცხლეთ, ნამგზავრებმა ახლად ამოყრილ ბალახზე გავინავარდეთ.

ვინ მაცალა გონს მოსვლა! მეზობლის ოჯახში განყობილ სუფრაზე აღმოვჩნდი. რა სითბოა, რა სიყარული ქართველ ხალხში! მასპინძელს, 80 წლის კაცს, მოხუცს ვერ აკადრებ, ისეთი მკვირცხლია და მოძრავი. შრომისგან დაკოყრილ ხელს გვართმევს; მეუღლე შეშის ღუმელთან ტრიალებს, ლობიანებს აცხობს. ახალგამომცხვარი მჭადები, ჭყინტი ყველი, ტარხუნის გემო რომ დაჰკრავს. რაჭული ლორი; კეცებში ჩანყობილ შემწვარი ვარიის გვერდით დადებულ კუჭს ვიღებ, ვისხენებ ბავშვობას. ვარდისფერ ღვინოს, მომყავო გემო რომ დაჰკრავს, წრუპვა-წრუპვით ვეთამაშები. ვატყობ, სუფრა უფრო მეტ სტუმარზეა გათვალისწინებული.

მალე მასპინძლის ვაჟი თემური მეუღლესთან და ორ მეგობართან ერთად შემოგვიერთდა. გამხიარულდა სუფრა, თამაობა თემომ იკისრა. სიყვარულის ნიავი დაჰქრის სუფრაზე. თემომ ნახევარლიტრიანი ყანწით საქართველოს სადღეგრძელო შესვა, ალავერდი ჩემთან გადმოვიდა — ამის დაუღლევლობა არ შეიძლება.



— მაპატიე, ვერ დავლევ, ასეთი სასმელებს გადაჩვეული ვარ, თანაც — ნამგზავრი, აკლიმატიზაცია, ასაკი... შეიძლება ინფარქტი ავიკიდო.

— ე, ბიჭუნას ხომ ხედავ, — თემომ თავის მეგობარ, 35 წლის ახალგაზრდა კაცზე მიმითითა, — ორი თვის წინ მიკროინფარქტი ჰქონდა. აბა, ნახე, როგორ გააქროს ღვინო ყანწიდან!

ნამუსზე შემადგო. ყანწიდან ვინყებ ღვინის სმას წრუპა-წრუპით; სასიამოვნო სასმელი ახლა ექიმის მიერ გამონერვილ წამალზე უარესი მეჩვენა.

ყანწს ჭინჭილა მოჰყვა, ჭინჭილას — ფიალები. შესვით მიცვალებულების მოსაგონარი, მერე — პატარების, სიყვარულის...

სუფრაზე სუფთა კეცები გაჩნდა. თემომ კეცები ღვინით შეავსო, ერთი მე მომანოდა — საქართველოს სალოცავებს გაუმარჯოსო, მეორე კეციდან სუფრის კოვზით ღვინის სმა დაიწყო, თითქოს შეჭამანდს მიირთმევდა. ლამპის შუშიდანაც შევსვით სადღეგრძელო, მერე ოჯახის წინაპრის — თოფის ლულიდან; ისიც მახსოვს, ღობეზე გადაკიდებულს, ვიღაცა თავს მიჭერდა.

ჯერ კიდევ ბნელოდა, გულის არითმიამ რომ გამომაღვიძა. თავი გასკდომაზე მქონდა. ღმერთო, შენ მიშველე, ეს ღამე გამათენებინე და ჩემს სიცოცხლეში ღვინოს აღარ გავეკარები! არასოდეს, ღმერთო!

ირიყრაჟა, გული ცოტა დამინწყნარდა. მზის სხივმა გამომაღვიძა.

ლოგინში მწოლიარეს თავზე დამადგნენ გუშინდელი სუფრის წევრები.

— ბოშო, გაკეთდა ქვეყანა, რა დროს ძილია! გვერდზე მეზობელი გველოდება!

— ვინ?

— ზალიკუნა, შენი ბოვშობის ძმაკაცი. შენი გულისთვის ხბო დაკლა. ადე, ადე, გველოდებიან!

— ჩაი, ჩაი დამალევინეთ, თუ ღმერთი გწამთ!..



# აპერიკიან ნაჭიქარი

ნუ შეგაკრთობს გუშინდელი ქარი,  
რადგან ჩემში სიყვარული რნება!

შოთა ნოზაძე



\*\*\*

არაფერია,  
 ეოველდამე  
 ძილის წინ თუ კი,  
 საკუთარ თავსაც  
 არ ჩააგდებ ნამუსის ღირსად...  
 გადაგავიწყდა?  
 დაგრეხილი ცოდვების თოკი,  
 თუ ისევ დაგრჩა ,  
 ჩამინებულს  
 უფალთან ახლოს...  
 არაფერია,  
 შენი დაფლეთილი  
 სულის ნაწილები,  
 გუშინდელი თვალის დასუჭვაც  
 არაფერია...  
 გასაკვირია,  
 ღიმილები  
 მეტად გაცილებით  
 დღის გათენებაც ,  
 შენებური ჩანაფიქრია...  
 გასაცინია,  
 შეიფერე  
 ეველა ოცნება,  
 გაზაფხულს გინდა  
 დაამსკავსო  
 ცივი ზამთარი.  
 შემოგიჩნდება,

სიზმარეთი  
 გულის კოცნებად,  
 წარსულს,  
 დაშრამულს  
 მოადგება ფიქრის  
 ლაშქარი...  
 გადანდილია!  
 საფასური  
 შენი ნერვების,  
 ფეხისწვერებზე სიარულის  
 წუთებიც მოკვდა,  
 უნაპიროა,  
 სიამაყე  
 შენი მშვენების,  
 შენი სიმშვიდით  
 ეველა ომის  
 სურვილი ცნონდა...  
 გადაღლილია,  
 გულისაკენ  
 მოძრავი სისხლი,  
 სიგიჟე შენგან  
 ვირუსით გადამდებია,  
 გადააფარე დღესაც ისევ  
 ცხოვრებას ნისლი,  
 მიდინარ მილში,  
 სადაც ძილიც  
 არაფერია...



**გადაფიქრება**

მარტო უკვდავება რას გვიშველის,  
 ჩემო,  
 წამთარევით სუსსიანო,  
 სულში ჩამისახლდა,  
 შენი  
 სახე ...  
 ალბათ სურნელება უფრო მეტად,  
 გაწაფსულის ევაგილივით,  
 მთებზე გადაშლილი  
 მილიონად.  
 მინდა  
 დაგიკრიფო ეველა ერთად,  
 ცალცალკე რომ  
 გაჩუქო  
 გულიანად...  
 მარტო საათები რას გვიშველის,  
 ჩემო,  
 საწაფსულო მონატრებაჲ..  
 მინდა  
 გაგიმხილო , გაგიმეტო  
 ეველა გაფიქრება მომადგება..  
 კარზე წამთარი და  
 ქურთუკი განდება  
 მთლიანი  
 სიტკბოება.  
 მარტო შემოდგომას რას უჯერებ,  
 მე  
 რომ უშენობით გადამიჭრა,  
 ეველა ორშაბათის ჩანაფიქრი,  
 შენზე  
 ფიქრით გამიმწესა,  
 უპირველესად....

\*\*\*

შენთვის დგანარ აეროლებულ გუბეში  
 და დროდადრო დაობებულ სინძრებს.  
 ჩასქერისნარ მოგონებებს სულებში  
 და უეურებ წარსულიდან ფირებს...

არც მეტალის ჩიტებია ვარეთ  
 და არც ხეებს აღარ სტიკვათ ფრთები,  
 შენ კი გინდა ჩაიცირო მწარეთ  
 როცა შური გიუერებს და ხვდები...

არასოდეს გეღვიძება თურმე  
 ასეთია დედამიწის ნება...  
 ნუ შეგაკრთობს გუშინდელი ქარი,  
 რადგან ჩემში სიუვარული დნება!

**ნიღაბი**

ცხოვრება ირგებს როლებს და ნიღბებს,  
 სწექტაკლის ბოლოს მოიხსნის ისევ.  
 თითქოს გაურბის მკაცრ რეალობას,  
 ეს მეორდება ისევ და ისევ...

აქვს ილუსია, გზას იმარტივებს  
 ამიტომ ფარავს ბევრ სიმანინჯეს.  
 ველარც უსწორებს თვალს სინამდვილეს,  
 ეს მეორდება ისევ და ისევ.

რომც შეეხარდოს ნიღაბში სახე,  
 თვალები მაინც სიმართლეს ამხელს,  
 და თუ მოიხსნის დაგვიანებით  
 ნიღაბთან ერთად წააცლის სახეს.



# საბასტრული მოგზაურობა

## ჰანო სინსაქა



ბავშვობაში გოგია უიშვილი მეცოდებოდა საახალწლოდ ერთ საკალანდო ღორს რომ დაკლავდა და დღეს მისი მშურს. სამაგიეროდ, გაჭირვებამ ჭკუა მასწავლა — ახალი წლიდან გადავწყვიტე ოჯახი სრულ ეკონომიაზე გადავიყვანო. ამ მიზნით საგასტროლო-საკონცერტო მოგზაურობა დავიწყე ნათესავეების, მოყვრებისა და ახლო მეგობრების ოჯახებში...



ურყუდება და მაგიდიდან გარბის, რაც დიდი შეღავათია მასპინძლისათვის.

გასტროლებს შევუდექით ჯერ ჩემს მშობლიურ ქალაქში. პირველად კარს მივადექით ძველისძველ ძმაკაცს, მერე მეორეს, მერე-მესამეს. სტუმრობის მიზეზს კირა გამოლევს — ზოგი, ვითომ მომენატრა (თან ვლანძღავ, — არა გრცხვენია, ჩემსას რომ არ მოდიხარ მეთქი?) ზოგთან ვითომ გადაუდებელი საქმე მაქვს ზოგთან, ვითომ ვილაცამ რაღაც დამაბარა, ზოგი კიდე ვითომ კომერციულ საქმიანობაში უნდა ჩავაბა (ამ დროს მე თვითონ ჯიბეგამოფხეკილი დავდივარ). თან ბლოკნოტში ვწერ, თუ ვისთან მივდივარ სტუმრად, რათა არ შემეშალოს და ხელმეორედ არ ვესტუმრო.



პროგრამა ასე შევადგინე: ჩემი ვაჟი ილუზიონისტის როლში გამოდის განყოფილ სუფრასთან, თვალის დახამხამებაში შეუძლია პურმარილი თავის თეფშზე გადაანყოს და საათნახევრის განმავლობაში ხორაგს მუსრი გაავლოს. ჩემი გოგონა გემრიელ კერძებს შეექცევა და საინტერესოდ საუბრობს თანამედროვე ქართული კერძების მნიშვნელობაზე ადამიანის ჯანმთელობის გაუმჯობესების საქმეში, ცოლი კი კითხულობს ლექციებს ქმრებისა და დედამთილ-მამათილების დამუშავების უახლეს ტექნოლოგიაზე. მე თვითონ კარგად მეხერხება ექსპრომტების წერა, სიმღერა, ცეკვა განსაკუთრებით „ხორუმის“ შესავალი, დაწოლილი რომ უთვალთვალებს მტერს (ამას ვაკეთებ ყანწის დაცლის შემდეგ) „ფარცაკუკუს“ ფინალი და შიგადაშიგ „განდაგანას“ ილეთები, ხოლო მეთხუტმეტე ჭიქის დაცლისა და ფეხის შეშლის შემდეგ - „ფერხული“. სადღეგრძელოებს ისეთს ვამბობ, რომ ხალხი ტირის, ზოგს გული

ვითომ გადაუდებელი საქმე მაქვს ზოგთან, ვითომ ვილაცამ რაღაც დამაბარა, ზოგი კიდე ვითომ კომერციულ საქმიანობაში უნდა ჩავაბა (ამ დროს მე თვითონ ჯიბეგამოფხეკილი დავდივარ). თან ბლოკნოტში ვწერ, თუ ვისთან მივდივარ სტუმრად, რათა არ შემეშალოს და ხელმეორედ არ ვესტუმრო.

ქალაქს რომ მოვლილი, შემდეგ რაიონებში დავიწყებ საგასტროლო მოგზაურობას. მოყვრები და მეგობრები კი, ღვთის წყალობით იმედენი მყავს, მთელი ცხოვრება არ მეყოფა ყველას რომ თითოჯერ მაინც ვესტუმრო... ჩემი მაგალითი გადაიღო ზოგიერთმა ჩემმა მეზობელმა, ვისაც ბინა ჩემსავით გამოცარიელებული აქვს და ყაჩაღების არ ეშინია.

მაშ, ასე, „მოგზაურობა წარმატებით გრძელდება. მეგობრებო, მოყვრებო და ნათესავებო, მოვდივარ მელოდეთ, მიმიღეთ და ჩემი საკონცერტო პროგრამით დიდად ნასიამოვნები დარჩებით!.





# იუმორი



## წერილი სოფელ დედამთილს

ვერ გამიგია, რძალი ვარ, თუ შენი შვილის მსახური, აღარ მიჯერებს არაფერს, ლამის ამოვკრა ზანღური, სულ მე დამაწვა კისერზე მთელი ოჯახის სიმძიმე და საღამოდან დილაძღუ ათ საათს ძლივსლა ვიძინებ. აქეთ - სარეცხი უოველდღე, იქით - სადილის მზადება; სამსახურიდან რომ მოდის, ქმარი დაღლილი ბძანდება. თუ დაუუვირე ვაჟბატონს, ან ვცემე (ნერვებს რომ მიშლის), ჯერ უმნოდ გამებუტება, მერე ეელს იბრდღვნის ბოდიშით. სუფრას უოველთვის მე ვაწეობ (რად უნდა ცოლი ასეთ ღლაპს?) როცა ცხელ საჭმელს მივართმევ, გიუვარდეს მაგრად ჩაცეცხლავს, როგორ იკადრებს დილ-დილით ცოცხი მოუსვას იატაკს, უნდა გავავდო ბინიდან - ამზადებს ამის ნიადაგს. ზატოსნებას რა სჯობსო, ამბობს ეგ მართლა ქაქანა, სხვა ფულს ითვლის და ეს გლახა უნის გამომთვლელ მანქანას, გმადლობთ, რომ გამომიგზავნეთ ბლინკი გოჭი და არაეი, რძლის შეწუხება ამისთვის ქალაქში, მგონი არა ღირს, მოკითხვა ძვირფას მამამთილს (სიცილით ვკვდები) - „მამიკოს“, ჩემისთანა რძალს, მგონია, მეგლიც კი უნდა ამიგოს. ვინ აცხოვრებდა თქვენს მუტრუკს ქალაქში, ასეთ ბინაში? თან კაცად გამოვიყვანე ეს ჩემი ქმარი ფინახი- ზიანინოზე რას ფიქრობთ, რა ჭკუაზე ხართ ბავშვები? ეს ერთი „განკა“ გვიყიდეთ და ამით მორჩით მისიას? თქვენს დამადლებას, ავეჯი სჯობდა მეეიდა ნისიად. იქნებ გსურთ სოფლად გეწვიოთ, ვითონხოთ და ძროხა მოვწველოთ! ამას თუ ფიქრობთ, სჯობია, ზასუნი სულ არ მომწეროთ!





# ვისთვის წიგნი, ვისთვის ჟურნალი თუ რაღაც?!

„ენით დაკოდლის“ ამბავი „რაჭველებში“.

— გამარჯობათ, ბატონო ... ნინო რეხვიაშვილი გახლავართ, როგორ ბრძანდებით?

— გმადლობთ, კარგად, თქვენ როგორ ხართ?

— კარგად, ბატონო... რედაქციაში სიახლე გვაქვს, ახალი წიგნი გამოვეცი, „რაჭის ქრონიკა“, სადაც მამათქვენის შესახებაც არის ნაამბობი, ალბათ დაინტერესდებით და ნახავთ.

— იცით რა? მე ეს დღეები ძალიან დაკავებული ვარ და ჟურნალია თუ რაღაც მაგისტრის არ მცალია.

— ცივი, მომაბეზრებელი ხმის ტონით მპასუხობს ვინმე .... შევცბი, სახეზე შეურაცხყოფის ალმა გადამკრა, მაგრამ არ დავიბენი და ცხელი გონებით ვუპასუხე:

— **ბა-ტო-ნო...!!! რას ბრძანებთ!!! წიგნი, რომელიც მე გამოვეცი ჟურნალი თუ რაღაც ნამდვილად არ არის!!! ეს არის 1 წლიანი უზარმაზარი შრომის შედეგად შესრულებული პროექტი — 300 გვერდიანი წიგნი საინტერესო პუბლიკაციებით, ისტორიული, ეთნოგრაფიული თუ ფოლკლორული ფრაგმენტებით, ოჯახური ისტორიებით, გვარების შესახებ ინფორმაციებითა და ბევრი სხვა საინტერესო მასალებით დამშვენებული.**

ასე, რომ თუ რაღაც ნამდვილად არ არის და კარგი იქნება თუ სხვის შრომასაც პატივს სცემთ. თუ მაინც და მაინც მატერიალური სიმდიდრით უნდა გამოვიჩინოდე რომ ფართო საზოგადოების პატივისცემა დავიმსახურო?! მეამაყება, რომ კალამი მიჭრის, გონება მემორჩილება და ჩემი ინტელექტით ვცხოვრობ.

— **არა, თქვენ სწორად ვერ გამიგეთ (თითქოს უკან დაიხია რესპონდენტმა).**

— ვაი, რომ სწორად გავიგე თქვენი ხმის ტონი და ლოგიკა საითაც იყო მიმართული. ეს რაც შეეხება წიგნს. თქვენ ჟურნალსაც შეურაცხყოფა მიაყენეთ — ჟურნალი თუ რაღაც!!! იქნებ ერთხელ მაინც მოიცალოთ და მობრძანდეთ რედაქციაში, წერა-კითხვის კარგად ცოდნა აუცილებელი არ არის, მხოლოდ სათაურები გადაიკითხეთ და თვალეში შემომხედეთ, თუ ეს „ჟურნალია თუ რაღაც“. ეს არის ჟურნალი, რომელიც

ნ წელია მკითხველის რჩეულ პრესად იქცა. მე მყავს ერთგული მკითხველი, რომელმაც შესანიშნავად იცის მისი მნიშვნელობა და როცა რამეს აგდებულად შევაფასებთ, იქნებ შესაბამისი ანალიზიც დავდოთ, რატომ?

ჩვენი საუბარი დასრულდა, მაგრამ სულხან-საბას იგავის არ იყოს, „ენით დაკოდლი“ გული დიდხანს არ მომირჩა.

რას ვიზამთ, ასეც ხდება, უამრავ ქათინაურს ჩვეულს, შიგადაშიგ ასეთი რამის მოსმენაც მიწევს, საკვირველი იცით რა არის? — მსგავსად ფინანსურად შეჭირვებული ადამიანი და ინტელექტუალი არასდროს მოიქცევა. ერთმა ისიც მითხრა, კარგია ნინო რასაც აკეთებ, მაგრამ უფრო სხვა ქმედებაა რაჭისთვის საჭირო, საქმე იქით მიდის, რომ ცოტა ხანში ამის წამკითხავი აღარ იქნება!

**მე ვფიქრობ, მე ვაჩიამ ვაჩი უნდა ბამოასოს. მე ახ შამიძინა ხაჭაში ბიზნეს ჰიოქაბის ბანსოხსიანიება. მე სნოხაე, ხომ ხაჭან ვაქმნი მახიანეს, ახ ჩამი ხამალანი ბანასხანი ახ ახის!!! მე ახ აქსნინანი მოლვანოებით დავა-მახიანა. ფინანსუხად შაძიებადმა ხაჭვანიება, ჰოლიხიოლსება, ბიზნესმანება თქვენ-თქვენი ხადაუხი სოსიანი-აქონომიანი ჰიოქაბი ბანსოხსიანიეთ ხაჭის ბანვითაქიბისათვის და აქაყანა მახითა აშენება. მე ახ დაბუხიებით, თქვენ მიუხ ბაჩათებად სანაქებს უშუქვანად ბაქაშაქაბ.**


მეტს აღარაფერს ვიტყვი, ეს არის ის, რაც თქვენთვის აუცილებლად უნდა მეთქვა, ძვირფასო მკითხველო.



რედაქტორი  
**ნინო რეხვიაშვილი**

სტატიაში რესპონდენტის სახელს და გვარს შეგნებულად არ ვასახელებ.





# Մեռա՞յր անա՞ր եղևո՞ւ՞ն!

«ԱՅ՛ս, շուրջ դժուար ասեալով ի՞նչ  
լինում է, երբ մեռա՞յր անա՞ր  
եղևո՞ւ՞ն? Երբ ցածր է լինում  
հասկանալի, երբ անհասկանալի  
և անհասկանալի, երբ անհասկանալի  
և անհասկանալի» — շուրջապատում  
ուրեքը։

Չգիտեմ, լինում է արդե՞րհաս  
հասկանալի և անհասկանալի միևնույն  
ժամանակ, երբ անհասկանալի  
և անհասկանալի, երբ անհասկանալի  
և անհասկանալի» — շուրջապատում  
ուրեքը։

Մի անգամ, երբ անհասկանալի  
և անհասկանալի, երբ անհասկանալի  
և անհասկանալի, երբ անհասկանալի  
և անհասկանալի» — շուրջապատում  
ուրեքը։

Երբ անհասկանալի և անհասկանալի  
և անհասկանալի, երբ անհասկանալի  
և անհասկանալի» — շուրջապատում  
ուրեքը։

Երբ անհասկանալի և անհասկանալի  
և անհասկանալի, երբ անհասկանալի  
և անհասկանալի» — շուրջապատում  
ուրեքը։

Երբ անհասկանալի և անհասկանալի  
և անհասկանալի, երբ անհասկանալի  
և անհասկանալի» — շուրջապատում  
ուրեքը։



# ჯგუფი „ჩვენებურები“



# 2016

## იანვარი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
				1	2	3
4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17
18	19	20	21	22	23	24
25	26	27	28	29	30	31

## თებერვალი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29						

## მარტი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30
31						

## აპრილი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30

## მაისი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30	31					

## ივნისი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30

## ივლისი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30
31						

## აგვისტო

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30	31					

## სექტემბერი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30

## ოქტომბერი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30
31						

## ნოემბერი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30

## დეკემბერი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30
31						